საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 8 თებერვალი. 2019 წ. №28 (8694) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

მხოლოდ ერთობა გადაგვარჩენს!

ქვეყანაში პოლიტიკანების პარპაში უნდა დამთავრდეს

ხელისუფლებამ იგრძნოს პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობა ვიგრძნოთ ჩვენც, ხალხმა!

იხ. 4-5 გვ.

გეგა გეგეშიძე:

საქართველოს არ ჰყავს დასაკარგი სპორტსმენები

უკვე ერთი თვეა, რაც ქართული ჭიდაობის შესახებ მთავარი სასაუბრო თემა არა ნაკრების ამა თუ იმ ტურნირზე გამოსვლა და წარმატებები, არამედ ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტსა და მოქმედ ტიტულოვან სპორტსმენს შორის მომხდარი ინციდენტია.

სპორტის სასახლის არენაზე ხელჩართულ ჩხუბს ძალადობის მუხლით დაწყებული გამოძიება და გეგეშიძის დაკავება მოჰყვა. საქართველოს ნაკრების წევრთა საპროტესტო აქციების ფონზე სასამართლომ ფედერაციის პრეზიდენტს ხუთიათასლარიანი გირაო შეუფარდა და არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის მოთხოვნა პრეზიდენტის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ.

ზურაბ დათუნაშვილი და მისი მომხრეები დროდადრო ახალ-ახალ მძიმე ბრალდებებს უყენებენ გეგა გეგეშიძეს და კვლავ კატეგორიულად მოითხოვენ მის გადადგომას. სპორტსმენმა რამდენიმე დღის წინათ დაწერა, რომ, თუ ფედერაციის ხელმძღვანელობა არ შეიცვლება, ან კარიერას დაასრულებს, ან საქართველოს დატოვებს და სხვა რომელიმე ქვეყნის სახელით გააგრძელებს ჭიდაობას.

განსაკუთრებულად დაძაბული პერიოდის განმავლობაში ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი მასმედიასთან ურთიერთობას თავს არიდებდა, თუმცა, მან რადიო „თავისუფლებას“ მისცა ვრცელი ინტერვიუ, რომელშიც მოვლენების საკუთარ ხედვას წამოაჩენს და თბილისის ჭიდაობის ფედერაციას თაღლითობაში ადანაშაულებს.

იხ. 10 გვ.

მიხეილ ყაველაშვილი ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს შეხვდა



8

თებერვალი წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების

და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის დაარსების დღეა

გილოცავთ!

ჩემი ღრიალი, ③ ალბათ, მთელ ქუთაისს ესმოდა

ნანა ჯანელიძე ლესია უკრაინკაზე ფილმს გადაიღებს

12

მართლა ⑨ დაინგრევა აზარიანცის სახლი?!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები მწუხარებით იუწყებიან უიშვიათესი პიროვნების, ზოდელავებისა და ჟვანიების დიდებული საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენლის, წლების განმავლობაში ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობრის, მკითხველისა და შემწის, ჭეშმარიტი პატრიოტისა და ეროვნული სულისკვეთების ვაჟკაცის, ლიდერად დაბადებული სახელმწიფო მოღვაწის

ვანო ზოდელავას

ტრაგიულ გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და დიდ სამეგობროს.

კახა კალაძე: ვერეს ხეობაში ოთხი სამშენებლო ნებართვიდან ორი გაუქმებულია

დედაქალაქის მერის თქმით, გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც ვერეს ხეობის რევიზია განხორციელდა და დადგინდა, რომ ნებართვები არასწორად იყო გაცემული.

„ერთი ობიექტი იყო სასწრაფო დახმარების ცენტრთან ახლო, ახალ გზასთან; მეორე იყო გვირაბიდან გამოსასვლელ გზასთან, რომელიც განსაკუთრებული რეკრეაციული ზონაა და ორი ობიექტი იყო „იკეას“ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე. ჩვენ ორზე გავაუქმეთ ნებართვები, რადგან არასწორად იყო გაცემული — არ შეესაბამებოდა იმ სტატუსს, რასაც ის მიწები ითვალისწინებდა, ხოლო რაც შეეხება ორ შენობა-ნაგებობას — ერთი არის სავაჭრო ცენტრი და მეორეა სასტუმრო. ეს ორი პროექტი შეთანხმებული იყო, თუმცა ჩვენი ჩართულობით, ერთის შემთხვევაში შემცირდა მოცულობა — დაახლოებით 30 000 კვადრატი უნდა აშენებულიყო და 20 000-ზე ჩამოვიდა, ხოლო მეორე შემთხვევაში გასწორდა, რომ არსებულ მიწის ნაკვეთზე ნარგავები მაქსიმალურად შენარჩუნდეს“, — განმარტა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე არსებობს დასკვნები, რომ ამ კონკრეტულ მონაკვეთებზე მშენებლობა პრობლემას არ წარმოადგენს.

სკოლებს როლი დაეკარგათ

მიხეილ გატიაშვილმა სკოლებში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ყველა კვლევის მიხედვით ჩანს, რომ სკოლებში დაბალი მაჩვენებელია, რაც იმით არის განპირობებული, რომ სკოლებს როლი დაეკარგათ:

„ყველა კვლევა ცხადყოფს, სკოლაში გვაქვს დაბალი მაჩვენებლები, რაც განპირობებულია იმით, რომ სკოლას თავისი როლი დავუკარგეთ. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს ფაქტორები, რომლებიც აქ არსებობს, მაგალითად, კორუფცია. გეთანხმებით, რომ კორუფცია არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ამიტომ სკოლას ვუბრუნებთ თავის ფუნქციას, მაგრამ უნდა გვქონდეს მექანიზმი, რომ ამისგან დავიცვათ მშობლები და ბავშვები. თუმცა დღევანდელ ვითარებას, რაც სკოლაში გვაქვს, მე დავარქმევდი აბსოლუტურ კორუფციას, განათლებას, რასაც ჩრდილოვანი ჰქვია და სადაც მიედინება ასობით მილიონი ლარი. მე ვიტყოდი, რომ დღევანდელ სისტემაშიც გვაქვს ჩრდილოვანი განათლება, რომელიც ნაწილობრივ კორუფციულ ელემენტებსაც შეიცავს“, — განაცხადა მინისტრმა.

ქარისა და მზის სადგურების განვითარება

საააგენტოს „აწარმოე საქართველოში“, ესპანეთის საგეფოში საქართველოს საელჩოს და ესპანეთის ბიზნესორგანიზაციების კონფედერაციის (CEOE) ორგანიზებით, ქ. მადრიდში გაიმართა საინვესტიციო მისია.

მისიის ფარგლებში, რომელშიც საპარტნიორო ფონდიც იღებდა მონაწილეობას, მრგვალი მაგიდის ფორმატში, ქართულმა მხარემ დაინტერესებულ კომპანიებს საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ დეტალური პრეზენტაცია გამართა. შეხვედრას ესწრებოდა 20-მდე ესპანური კომპანია ეკონომიკის ისეთი სექტორებიდან, როგორიც არის უძრავი ქონება და სასტუმრო ინდუსტრია, საკვები პროდუქტის გადამუშავება, სამკერვალო ინდუსტრია და ელექტრონიკა.



ამასთანავე, ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა B2B შეხვედრა, განახლებადი ენერგიის სფეროში მოღვაწე, მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერი კომპანიის ACCIONA აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტ ხოაკინ კასტილიო გარსიასა და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დირექტორ მიხეილ ხიდურელს შორის. შეხვედრა წარმოადგენდა ერთგვარი მოლაპარაკებების გაგრძელებას საქართველოს მთავრობასა და კომპანიას შორის, რადგანაც თავდაპირველად კომპანია ქვეყნით საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან დავოსში გამართულ ორმხრივ შეხვედრაზე დაინტერესდა. გადაწყდა, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში ქარისა და მზის სადგურების განვითარების პერსპექტივების ადგილზე გასაცნობად, საქართველოს ეწვევა ACCIONA-ს სამუშაო ჯგუფი.

პურის გაძვირება არ შეესაბამება სინამდვილეს

ფქვილის მწარმოებელთა ასოციაცია ხორბლის და ფქვილის ბაზრებზე მიმდინარე პროცესებზე აღნიშნავს:

„ბოლო დღეებში ზოგიერთი სატელევიზიო და საინფორმაციო საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ჩვენი ასოციაცია პროგნოზირებს პურის გაძვირებას საქართველოში, რაც არის გაუგებრობა და არ შეესაბამება სინამდვილეს. გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი ასოციაცია მოქმედებს მისი კომპეტენციის ფარგლებში და აქედან გამომდინარე განცხადებებს აკეთებს მხოლოდ ხორბლის და ფქვილის ბაზრებზე მიმდინარე პროცესებზე.

ვადასტურებთ, რომ მსოფლიო ბაზრებიდან გამომდინარე, საქართველოში იმპორტირებული ხორბლის ფასები საგრძნობლად გაზრდილია.აქედან გამომდინარე, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ აღნიშნული გარემოება ფქვილის ფასზე დრამატულად არ აისახოს (ფქვილის წარმოებაში ხორბლის წილი 80%-ია) და ამ მხრივ რისკები იყოს მინიმალიზირებული. რაც შეეხება პურის ფასს, ეს საკითხი არის მხოლოდ ჩვენი კოლეგების — პურის მწარმოებლების საკითხი, ვუდასტურებთ მათ ჩვენს პატივისცემას და არ ვიჭრებით მათ კომპეტენციაში“.

ზვიად კვაჭანტირაძე ამბოხებულებს შეუერთდა

ეკა ბესელიასა და მმართველი გუნდის დაპირისპირება ახალ ფაზაში გადადის. კერძოდ, იურიდიული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართავს და უზენაეს

სასამართლოებში მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის შეჩერებას ითხოვს. კანონპროექტს ხელს აწერს 9 დეპუტატი. მათ შორის არიან ზვიად კვაჭანტირაძე, ალექსანდრე ერქვანია, გედევან ფოფხაძე, კობა ნარჩემაშვილი, ლევან გოგიჩაიშვილი, ლევან კობერიძე, დავით ჭიჭინაძე.

„შეჩერდეს მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა. პარალელურად დავიწყოთ ორგანულ კანონზე მუშაობა და სამართლებრივად მოწესრიგდეს ის ნორმები, რომლებიც ეხება მოსამართლეთა დანიშვნას. ამ ინიციატივას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ინიციატივას ჩვენს კოლეგებს ვთავაზობთ და იმედია, რომ უმრავლესობა მხარს დაუჭერს,“ — ამბობს ბესელია.

თბილისის იუსტიციის სახლში პროგრამა „მოხალისე“ განახლდა

იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრმა“ სსიპ „იუსტიციის სახლთან“ ერთად პროგრამა „მოხალისე“ განაახლა. მასში 15-დან 21 წლის ახალგაზრდები, სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები მონაწილეობენ. მოხალისეები იუსტიციის სახლის თანამშრომლებს მოქალაქეების მიღებაში საჭიროების მიხედვით ეხმარებიან. პროგრამის განახლება ქაღალდის პირადობის მოწმობის ახალი პირადობით უფასოდ ჩანაცვლების ერთთვიან აქციას უკავშირდება.

პროგრამა „მოხალისე“ თბილისში აქციის დასრულებამდე გაგრძელდება. პროგრამის დასრულების შემდეგ ყველა მოხალისეს სერტიფიკატი გადაეცემა. მისი მიზანია ახალგაზრდებში მოხალისეობრივი ინიციატივების მხარდაჭერა. მოხალისეებმა თავდაპირველად გაიარეს თეორიული და პრაქტიკული ტრენინგი იუსტიციის სახლში მოხალისეობრივი საქმიანობის შესახებ და დაეუფლნენ მოქალაქეთა მიღებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, გაეცნენ იუსტიციის სახლის მუშაობის სტანდარტებს.

„მასტერამ“ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა დაუკვეთა“

გაზეთ „ქრონიკა +“-ის რედაქტორი, ელისო კილაძე თბილისის პროკურატურაში გამოკითხვაზე იმყოფებოდა. კილაძე პროკურატურაში ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მოწმის სტატუსითაა დაბარებული.

ელისო კილაძემ გამოძიებას ორი წლის წინ ჩანაწერები გადასცა. მისი თქმით, ჩანაწერში ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაური აღიარებდა, რომ მასთან კუდის მაღალჩინოსანი მივიდა და პატარკაციშვილის მკვლელობა დაუკვეთა.

„გამოძიება, მე როგორც ვიცი, დაწყებულია ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმეზე. სავარაუდოდ, საქმე ეხება იმ ჩანაწერს, რომელიც 2 წლის წინ გადავეცი პროკურატურას, როდესაც ჩეჩენი საველე მეთაური ურაის ახმადოვი აღიარებდა, რომ მასთან მივიდა კუდ-ის მაღალჩინოსანი „მასტერა“ და დაუკვეთა ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა“, — ამბობს კილაძე.

შეგახსენებთ, რომ ელისო კილაძე პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის პრესსამსახურს ხელმძღვანელობდა.

ეკოტურიზმი ლატვიელი ვიზიტორების ყურადღების ცენტრშია

რიგის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე „Balttour 2019“ საქართველო ვიზიტორების ყურადღების ცენტრში მოექცა. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ბალტიისპირეთის ერთ-ერთ მთავარ ტურისტულ გამოფენაზე რეგიონს პოპულარიზაციას საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინიტრაციასთან და ტურისტულ საააგენტოებთან ერთად უწევდა.

აჭარის კუთხესთან ვიზიტორებს საშუალება ჰქონდათ რეგიონის ტურისტულ პროდუქტებს გაცნობოდნენ. მათმა უმრავლესობამ განსაკუთრებული ინტერესი ეკოტურიზმის, ღვინისა და გასტრონომიული ტურიზმის მიმართულებით გამოხატა. გამოფენის ფარგლებში დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ასევე გამართეს საქმიანი შეხვედრები ტურისტული და სარეკლამო კომპანიების წარმომადგენლებთან მიმდინარე წელს ლატვიაში სარეკლამო კამპანიების დაგეგმვის მიზნით. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონს პოპულარიზაციას ლატვიაში 2017 წლიდან ანხორციელებს. წელს, „Balttour 2019“ წელს ვიზიტორების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩეოდა. სამი დღის განმავლობაში მას ჯამში 28,050 ვიზიტორი დაესწრო. საქართველოს სტენდი გამოფენაზე ლატვიაში საქართველოს ელჩმა და საელჩოს წარმომადგენლებმა მოინახულეს.

ᲩᲔᲛᲘ ᲦᲠᲘᲐᲚᲘ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲛᲗᲔᲚ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ ᲔᲡᲐᲛᲝᲓᲐ

ᲙᲚᲐᲕᲓᲜᲔᲜ **სრულიად მიზანმიმართულად, განსაკუთრებული სისასტიკით. იყო შემთხვევითი მსხვერპლიც, თუმცა შემთხვევით მკვლელებს მაინც აჯილდოებდნენ, რადგან მართალია უნებლიეთ, მაგრამ მათაც შეჰქონდათ მცირედი წვლილი იმ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში, რასაც საზოგადოების დაშინება ერქვა, დაშინებული საზოგადოება კი იმის გარანტია იყო, რომ 20 წელი მაინც იქნებოდნენ ხელისუფლებაში, დანარჩენი შემდეგ გამოჩნდებოდა.**

აგვისტოს ომიდან სახლში 2 დღის დაბრუნებული როინ (რომა) შავაძე 2008 წლის 16 აგვისტოს ბათუმის ცენტრში, ოქროს ბირჟასთან ნიღბიანმა სპეცრაზმელებმა დააკავეს. **„ძირს დაგდებულ ქართველ ჯარისკაცს დაახლოებით 20 ნიღბიანი სპეცრაზმელი რომ ურტყამდა, გვეგონა, მტერი შემოვიდა და ჩვენი ოქროულობის ჩალაგება დავიწყეთ, პანიკაში ჩავვარდით; ისიც კი ვიფიქრეთ, ტყვედ არ აგვიყვანონ–მეთქი. ძალიან დაუნდობლად და საცოდავად აიყვანეს“,** – ეს ამბავი მომხდარიდან სამი კვირის შემდეგ ბათუმში ყოფნისას თვითმხილველებმა მიამბეს.

საავადმყოფოში მისულებს ჯარისკაცი რეანიმაციულ განყოფილებაში კი არა, პროზექტურაში დახვდათ, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავლად მყოფმა სამართალდამცავებმა ჯარისკაცის ქვრივსა და ნათესავებს ხმის ამოღება აუკრძალეს.მათზე ზეწოლა რამდენიმე თვის შემდეგ ტერორში გადაიზარდა – გაჩუმების სანაცვლოდ სოლიდურ თანხას სთავაზობდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ფიზიკური ლიკვიდაციით ემუქრებოდნენ.

როინ შავაძის დაკრძალვამდე მისი ცხედარი ოჯახის ახლობელმა ექიმმა დაათვალიერა: **„წინა მხრიდან 22 შემავალი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. მთელ სხეულზე – ჰემატომები. მარცხენა ბარძაყი მოტეხილი იყო, ოღონდ ამას ტყვიას ვერ დავაბრალებ – აშკარად ეტყობოდა, რომ მოტეხეს. მარცხენა ხელი შუა მკლავთან წრეზე შემოკერილი და დამოკლებული ჰქონდა, მარჯვენა ხელი – მოტეხილი. თავის არეში მარცხენა ყურიდან მარჯვენამდე მთლიანად გადაკერილი იყო; ნატყვიარი არ ჩანდა და რატომ, არ ვიცი. ეტყობოდა, რომ სახეში „დუბინკა“, ან სხვა რამ ჰქონდა ნარტყამი. ნიკაპზე მარცხენა მხარეს 12 ნაკერამდე ჰქონდა, მაგრამ არა ტყვიისგან მიყენებული ჭრილობით. მარცხენა ხელზე 2 თითი მოტეხილი და გადაგლეჯილი, კანზე იყო ჩამოკიდებული. სავარაუდოდ, ხერხემლის მეშვიდე მალა ჩატეხილი ჰქონდა; კისრის გადატეხვა, ალბათ, მაშინ მოხდა, როცა აიყვანეს, რადგან თავად ძალიან დიდი და ფიზიკურად ძლიერი იყო და თუ უკნიდან არ მიეპარებოდნენ, ისე ვერ წააქცევდნენ. დაახლოებით 5 ავტომატი მაინცაა ნახმარი, ზოგი ტყვია ახლოდანაა მოხვედრილი, ზოგი – შორიდან. ჩემი აზრით, ნაწვალებია და მერე დაცხრილული“.**

ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ – ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓᲨᲔᲣᲚᲘ, ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲤᲐᲡᲝᲕᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ, ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲘᲘᲗ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲢᲙᲑᲔᲑᲝᲓᲐ.

ოთარ გველუკაშვილი (მოკლეს გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში სპეცოპერაციის დროს); ანტონ კეკულავა (მოკლეს თბილისში დაკავებისას); დიკო ბარქაია (მოკლეს ზუგდიდის რაიონში სპეცოპერაციის განხორციელებისას); ზაზა ფანცქელაძე (მოკლეს ზუგდიდის რაიონში დაკავებისას); ხვიჩა კვირიკაშვილი (მოკლეს თბილისში პოლიციელების მიერ დაკავების დროს განხორციელებული ცემის შემდეგ); ალექსანდრე გომაშვილი (მოკლეს კახეთში დაკავებისას); მურთაზ ქარდავა და თემურ ხუბუნია (ორივე ერთად ჩაცხრილა და მოკლა უშიშროების თანამშრომელმა); სულხან ლომიძე (მოკლეს ხელვაჩაურის რაიონში სპეცოპერაციის დროს); აკაკი კორკოტაშვილი (მოკლეს გურჯაანის რაიონში დაკავებისას); ავთანდილ გუმაშვილი და ვახტანგ გუმაშვილი (ორივენი მოკლეს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში სპეცოპერაციისას); ვახტანგ მარგოშვილი (მოკლეს ქვემო ქართლში, სოფელ ვახტანგისში); ვარლამ ნემსიწვერიძე (მოკლეს თბილისში მძევლის გათავისუფლებისას); ნესტორ ესებუა, გია ოკუჯავა და თემურ ცეკვავა (სამივე ერთად მოკლეს აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავებისას); თამაზ კურკუმული (მოკლეს თბილისში დაკავებისას); ხვიჩა მელაძე (მოკლეს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში); გიორგი კვირიკაშვილი და გიორგი მანჯავიძე (ორივე ერთად მოკლეს თბილისში თამარაშვილის ქუჩაზე დაკავებისას); ლევან გულუა (მოკლეს თბილისში, გამსახურდიას გამზირზე დაკავებისას); რეზო სარჯველაძე (მოკლეს თბილისში დაკავებისას); ვლადიმერ ხოშტარია (მოკლეს თბილისში დაკავებისას); გიორგი თელია (მოკლეს თბილისში, საკუთარ სახლში, სპეცოპერაციის დროს); ჯემალ ჩაფიძე (მოკლეს თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში დაკავებისას); ზვიად ბაბუხადია, ბუთხუზუ კიზირია და ვალერი ბენდელიანი (მოკლეს ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხეში დაკავებისას); ალექსანდრე ხუბულოვი (ჩაცხრილეს ავტომანქანაში სპეცოპერაციის დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისში კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე); მიხეილ ბერძენიშვილი (მოკლეს საგარეჯოს რაიონში დაკავებისას); გელა ცინდელიანი (მოკლეს მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში სპეცოპერაციის დროს); ჯაბა ჯაბანიშვილი (ქალაქ ბორჯომში დაჭრა პოლიციელმა და სახლში მისვლისას გარდაიცვალა); ხვიჩა კოკაია (მოკლეს ხობის რაიონში სპეცოპერაციისას); ვალერი ფხაკაძე (ქუთაისში დაჭრეს პოლიციელებმა და დაჭრილს არ აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარება, რის გამოც გარდაიცვალა); მიხეილ კირაკოსიანი (ახალციხეში მოტოციკლის გაჩერების მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო ესროლა პოლიციელმა და ადგილზე მოკლა); გიგა ჭარბაძე (მოკლეს თელავში ავტომანქანის დაჯახებით); ალექსანდრე ხოსიტაშვილი (მოკლეს თბილისში სასტიკი ცემის შედეგად); ოლეგ მესხიძე (მოკლეს ოზურგეთში სპეცოპერაციისას); თენგიზ გოგია (მოკლეს სენაკის რაიონის სოფელ მენჯში სპეცოპერაციისას); როლანდ მახარაძე (მოკლეს ბათუმში მძევლების გათავისუფლებისას), როინ შავაძე (მოკლეს ქობულეთში სასტიკი წამების შემდეგ); ზურაბ მანთაძე (მოკლეს რუსთავ-თბილისის გზატკეცილზე დაკავების შემდეგ); ჯიმი მეგრელიძე (მოკლეს ზუგდიდში დაკავებისას); მამუკა ჩარჩხალია (პოლიციელთა მიერ თავის არეში მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა საკუთარ სახლში).

ეს არ არის სრული სია. ხშირ შემთხვევაში „სპეცოპერაციები“ კარგად დაგეგმილი და ცივ გონებაზე განხორციელებული მკვლელობები იყო.

ᲜᲐᲗᲝᲚᲣᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲣᲛᲝᲬᲧᲐᲚᲝᲓ ᲩᲐᲮᲝᲪᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲐᲣᲨᲣ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲓᲘ. ᲑᲘᲭᲔᲑᲡ 10-11 ᲢᲧᲕᲘᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲘᲚᲘ. 2012 ᲬᲔᲚᲡ, ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ, ᲙᲣᲓ-ᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲕᲘᲓᲔᲝᲛᲐᲡᲚᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲭᲜᲝᲜᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲞᲔᲪᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲝᲜᲐᲫᲔᲡ ᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ. ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲮᲡᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲚᲐ ᲣᲨᲕᲔᲠᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲝᲜᲐᲫᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲐᲠᲔᲨᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲩᲐᲛᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲧᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.

ᲐᲛ ᲡᲞᲔᲪᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲔᲑᲘ. ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲐᲛ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲝᲗᲐᲠ ᲡᲣᲠᲛᲐᲜᲘᲫᲔᲡ ᲣᲗᲮᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲩᲘᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ: ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲖᲛᲖᲔ, ᲢᲝᲚᲔᲠᲐᲜᲢᲝᲑᲐᲖᲔ, ᲨᲔᲛᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ, ᲞᲝᲚᲘᲢᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲚᲝᲑᲐᲖᲔ, ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐᲖᲔ, ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ – ᲫᲘᲠᲔᲣᲚ ᲔᲕᲠᲝᲠᲣᲚ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲝᲑᲐ...

ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲣᲠ ᲒᲐᲓᲐᲮᲠᲔᲑᲡ ᲛᲝᲐᲠᲒᲔᲡ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲫᲣᲚᲓᲐᲗ.

„2009 ᲬᲚᲘᲡ 19 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲩᲔᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲪᲔᲛᲐ-ᲬᲐᲛᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠ ᲛᲝᲰᲧᲠᲝᲑᲡ... ᲙᲘᲠᲫᲝᲓ, ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲛᲘᲡᲬᲝᲠᲓᲔᲜ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲐᲓ, ᲛᲪᲔᲛᲓᲔᲜᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲬᲐᲛᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲘᲗᲝᲪ ᲛᲝᲛᲐᲧᲔᲜᲔᲡ ᲯᲐᲜᲐᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡᲘ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘ: ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲬᲐᲠᲑᲘᲡ ᲛᲝ�გᲠᲫᲝ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲣᲡᲬᲝᲠᲛᲐᲡᲬᲝᲠᲘ, ᲙᲘᲓᲔᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲑᲚᲐᲒᲕᲘ ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲐ, ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲢᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲝᲢᲔᲮᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲦᲘᲐ ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲐ, ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲗᲕᲐᲚᲑᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲔᲨᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲜᲐᲭᲔᲗᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲡᲘᲡᲮᲚᲜᲐᲭᲔᲗᲘᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲗᲕᲐᲚᲑᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲔᲨᲘ. ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲬᲐᲠᲑᲘᲡ ᲛᲘᲒᲓᲐᲛᲝᲖᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲙᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲙᲕᲐᲜᲫᲛᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲩᲐᲠᲔᲕᲐ ᲗᲕᲘᲗ �პᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲕᲘᲧᲐᲕᲐ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲙᲝᲛᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲐᲗᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ“, – ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲘ **ᲡᲝᲡᲝ Ჭ.**

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ Ზ: „23 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡ ᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ ᲔᲢᲐ�პᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ №15 ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲬᲐᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲛᲝᲰᲧᲠᲝᲑᲐ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲓᲐᲐᲖᲘᲐᲜᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲐ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ქვეშ. ᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲩᲐᲛᲘᲛᲢᲕᲠᲘᲔᲡ ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲘᲡᲙᲓᲐ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲧᲣᲠᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲑᲐᲜᲘ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲘᲐ ᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲕᲐ ᲓᲐ ᲘᲛ ᲓᲦᲘᲓᲐᲜ ᲕᲐᲠ ᲜᲔᲕᲠᲝᲖᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐᲥᲕᲡ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ...“

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ Ბ: „ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲔᲡ 2011 ᲬᲔᲚᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲜᲐᲪᲠᲔᲯᲘᲛᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲪᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ. ᲩᲐᲛᲘᲓᲔᲡ „ᲛᲐᲠᲘᲮᲣᲐᲜᲐ“ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲛᲘᲧᲔᲜᲔᲡ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲧᲐᲩᲐᲦᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲔ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲘᲓᲔᲜᲘᲐ ᲓᲐ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲑᲠᲐᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲕᲐᲦᲘᲐᲠᲔ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲛᲝᲭᲧᲐ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲙᲝᲛᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲐᲗᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐ�კᲘᲗᲮᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ“, – ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲘ **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ნ.**

ᲩᲔᲛᲘ ᲪᲔᲛᲐ-ᲬᲐᲛᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲘᲡ ᲔᲢᲚᲨᲘ ᲕᲖᲘᲕᲐᲠ. ᲐᲛᲓᲔᲜ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲣᲫᲚᲔᲡ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲖᲔ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲓᲐᲛᲔᲦᲣᲞᲐ. ᲓᲐᲛᲔᲜᲒᲠᲐ ᲝᲯᲐᲮᲘ...“

აი, რას ჰყვება გარდაცვლილი პატიმრის დედა **დარეჯან მ:** „ჩემმა შვილმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაატარა დაახლოებით ოთხი წელი. 2012 წლის 19 ივნისს მისი საკნის პატიმარმა მაცნობა, რომ ირაკლიმ თავი ჩამოიხრჩო. იმავე ღამით ჩემი მეორე შვილი ნათესავებთან ერთად წავიდა ციხეში და მეორე დღეს ჩამოასვენეს ირაკლი სახლში. მე თავად პროფესიით ექთანი ვარ, დავათვალიერე ჩემი შვილის ცხედარი და ვნახე, რომ მარცხენა ხელი მაჯის ზევით ჰქონდა გადატეხილი, თავის არეში, უკანა მარჯვენა მხარეს დარტყმისგან ჰქონდა გატეხილი და შეენიშნებოდა გამონადენი სისხლიც, ასევე დაზიანებული ჰქონდა შუბლიც, იგი რაღაც ბლაგვი საგნით იყო ჩაზნექილი და ყელის არეზე ირგვლივ ჰქონდა სიშავე... მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი შვილი ჯერ ცემეს, ანამეს და მერე თვითონ „დადგეს“ ჩამოხრჩობის სცენა, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ირაკლი თავს არ მოიკლავდა. აქვე მინდა მივუთითო, რომ იმ დაზიანებებით, რაც მას ჰქონდა, იგი ფიზიკურად ვერ შეძლებდა, რომ თვითონ ჩამოეხრჩო თავი. ასეთი რამ შეუძლებელია. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი შვილი მოკლეს საპატიმროს თანამშრომლებმა“.

იმედა ბ: „ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ერთდროულად მქოლავდა, სახეში მაფურთხებდა, მაგინეს და მემუქრებოდნენ – დედას მ...თო, დას გაგიბოზებთო, მამაშენს დავიჭერთ და შენც 18 წელი გემუქრებაო, ციხეში ჩვენი ძმაკაცები მუშაობენ და საქათმეში შეგაგდებთო. დაიწყეს ჩემ მიმართ „პრესი“ და რომ ვერაფერს მიაღწიეს, ექვსივემ გამაშიშვლეს და გაუპატიურებით მემუქრებოდნენ... ჩემი ღრიალი, ალბათ, მთელ ქუთაისს ესმოდა. ველარ გავუძელი და ძალადობით მომაწერინეს ხელი რაღაც ფურცლებზე...“

„ᲫᲠᲗᲐᲛᲘᲡ ᲕᲘᲗᲝᲛᲓᲐ ᲛᲘᲛᲪᲔᲛᲐᲓ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲛᲐᲛᲔᲓᲝᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲫᲔᲕᲜᲘᲚᲘ ᲝᲠᲡᲐᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲕᲘᲢᲧᲕᲔ, ᲐᲜᲐᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲐᲭᲔᲠᲘᲜᲐ ᲝᲪᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ. ᲮᲣᲗ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲩᲔᲛᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲓᲐᲜ ᲮᲣᲗ ᲬᲣᲗᲨᲘ ᲐᲛ ᲓᲣᲔᲢᲛᲐ „ᲫᲠᲗᲐᲛᲖᲔ“ ᲒᲐᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲬᲛᲔ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲐᲛᲔᲓᲝᲕᲘ ᲘᲧᲝ“ – ᲰᲧᲕᲔᲑᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲘ **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ნ.**

ᲓᲘᲢᲢᲝ ᲒᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. № 24, 25

ხელისუფლებამ იგრძნოს პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობა ვიგრძნოთ ჩვენც, ხალხმა!

სწორედ ხალხის განწყობის გამომხატველი წერილი სჭირდება დღევანდელ საქართველოს – იმ უმძიმეს მდგომარეობას, რომელშიც ხალხი და ჩვენი სამშობლო აღმოჩნდა. იქნებ, ასეთმა წერილმა ხალხი უფრო გაგვაერთიანოს, ხელისუფლება დააფიქროს, ჩვენი უცხოელი მეგობრებიც გამოაფხიზლოს. ფაქტია, რომ კრიზისმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია: ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!

ჩვენ არ გვინდა, ვიფიქროთ: იმიტომ დაგვამშიეს და დაგვაუძლურეს, რომ ადვილად გვმართონ.

არ გვინდა, ვიფიქროთ: ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ხალხი და ქვეყანა იმ მდგომარეობაში ჩაგვაყენეს, რომ მასიურად ვტოვებთ სამშობლოს, უცხოეთში მონურ შრომას ვეწევით, რომ საკუთარი თავი და სამშობლოში დარჩენილი ჩვენი ახლობლები გადავარჩინოთ, ჩვენი ქვეყანა კი სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულთა გამდიდრების წყაროდ იქცა.

არ გვინდა, ვიფიქროთ, რომ გეგმაზომიერად მიდის ჩვენი გასახლება და ღვთითნაბოძებ მიწაზე უცხოტომელთა ჩამოსახლება!

შეიძლება ბევრს მოეჩვენოს, რომ სახელწოდება **„ხალხის წერილი“** გადაჭარბებული და პრეტენზიულია. ვფიქრობთ, რომ არა! 3000-ზე მეტმა კაცმა მივიღეთ მონაწილეობა ამ წერილის ჩამოყალიბებაში და ეს არ არის მარტო ჩვენი აზრი.

დიდი მადლობა მეცნიერთა ჯგუფს, რომელმაც შექმნა ჩვენი აზრით, ამ დროისთვის ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო და დამაფიქრებელი ქვეყნის განვითარების კონცეფცია: **„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“**. ჩვენ სწორედ ამ კონცეფციის ირგვლივ ვერთიანდებით. სწორედ მეცნიერთა იმავე ჯგუფმა გადაამუშავა ჩვენი მოსაზრებები და გამოაქვეყნა სათაურით: **„ერთად დავამარცხოთ სიყალბე და პოლიტიკური მაფია“!**

ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ წერილს ბევრი შემოუერთდება.

შემოუერთდება ის ხალხი, ვინც დიდი სიხარულითა და აღტკინებით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და ოცნებობდა გაბრწყინებულ საქართველოზე.

შემოუერთდება ის ხალხი, ვინც გაჭირვებისა და დამცირების მიუხედავად, მაინც იმედით ფიქრობს სამშობლოსა და მის მომავალზე, შემოუერთდება ის ხალხი, ვინც ფიქრობს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება – აღარ შეიძლება ვცხოვრობდეთ ქვეყანაში, რომლის ყველა ხელისუფლება 1992 წლიდან მოყოლებული, დღემდე თვითკმაყოფილია და ოპოზიცია გაბოროტებული.

აღარ შეიძლება ვცხოვრობდეთ იმ ქვეყანაში, რომლის ყოველი ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ კარგად მუშაობს, ყველაფერს აკეთებს ხალხის საკეთილდღეოდ და ამ დროს ჩვენ საკუთარ თავზე ვხედავდეთ, რომ სიკეთე არ სჩანს, უარესად ვცხოვრობთ; ვხედავდეთ იმას, რომ ჩვენი რჩეულნი, არჩევის დღიდანვე საკუთარ თავზე, საკუთარ ოჯახსა და ნაცნობ-მეგობრებზე ფიქრობენ და არა ხალხზე!

ჩვენ არ შეიძლება ვითმენდეთ ამდენ ტყუილს – ვითმენდეთ იმას, რომ სიყალბეში გვაცხოვრებენ. **როდემდე უნდა ვითმინოთ ყოველი არჩევნების წინ დაპირებული „ოქროს მთები“ და „რძის მდინარეები“ და რეალურად ვუყურეთ ოქრო-ვერცხლში მცხოვრებ ხელისუფალთ, რომელთათვის ჩვეულებად იქცა (ხატოვნად რომ ვთქვათ), „რძის აბაზანები“.**

ვაჭარბებთ ამ შეფასებებში? არა გვგონია.

როცა გავეცანით მეცნიერთა დასკვნებს: იმას, თუ როგორ გვაცხოვრებენ ჩვენ და როგორ ცხოვრობს გაქსუებული დემოკრატია, რას გვაჭმევენ ჩვენ და რას მიირთმევენ თვითონ, რას გვიკრძალავენ ჩვენ და როგორ თვითნებობენ თვითონ, შემაძრწუნებელი სურათი მივიღეთ.

თუმცა ეს წერილი მაინც არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული და კონკრეტულად არც არავის იცავს. ჩვენ გვინდა, ხალხის ინტერესი იყოს დაცული – იმ ხალხის ინტერესი, ვინც ესწრაფოდა დამოუკიდებლობას, ვინც საკუთარი სისხლისა და ოფლის ფასად მოიტანა დამოუკიდებლობა და ვინც დღეს სიღატაკეში ცხოვრობს!

ამ წერილის ადრესატი ხალხიც არის და ხელისუფლებაც. ჩვენი სურვილია, ხელისუფლებამ იგრძნოს პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობა ვიგრძნოთ ჩვენც, ხალხმაც, რადგან ხალხი ათამამებს და ათავხედებს ხელისუფლებებს, როცა აძლევს იმის უფლებას, რისი უფლებაც არ აქვს! როცა ავიწყდება, რომ ქვეყნის ბატონ-პატრონი თვითონ ხალხია და როცა ხელისუფლებას, რომელიც მსახურად აირჩია, უფროსად მიიჩნევს, თუ უფროსობის უფლებას აძლევს!

დიახ, ჩვენ ყველას გვეკისრება პასუხისმგებლობა ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე. ეს წერილიც სწორედ ამ პასუხისმგებლობის განაცხადი უნდა გახდეს ყველა დონის ხელისუფალისათვის - პრეზიდენტით, მთავრობის თავმჯდომარით, პარლამენტის თავმჯდომარით, სასამართლოს თავმჯდომარით დაწყებული, მთელი სახელისუფლებო ვერტიკალის გავლით, სოფლის გამგებლით, საკრებულოს წევრით, რიგითი მოსამართლით დამთავრებული!

ეს წერილი იმის ნიშანიც უნდა იყოს, რომ პოლიტიკოსების მიერ შემოთავაზებული დაპირისპირების აგრესიული პოლიტიკა დამანგრეველია, რომ ქუჩის პოლიტიკამ პოლიტიკას გონება წაართვა და ცდილობს, ხალხი ბრბოდ გვაქციოს.

ჩვენ გონების დაბრუნება გვინდა პოლიტიკაში. ჩვენ თანამშრომლობის ჰარმონიზაცია გვინდა. ჩვენ გვინდა, რეალურად დამკვიდრდეს მთავარი დემოკრატიული პრინციპი: ქვეყანას მართავს ხალხის მიერ დემოკრატიულად (ხაზს ვუსვამთ, დემოკრატიულად) არჩეული ხელისუფლება, ხელისუფლებას მართავს საზოგადოება, საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა.

ეს საკითხები კარგად არის ჩამოყალიბებული საქართველოს განვითარების კონცეფციაში **„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“**. ჩვენ, ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ ამ კონცეფციის სრულყოფა-გაღრმავებაზე! ასევე ვისურვებდით, კონცეფცია სამაგიდოდ იქცეს ყველა დონის ხელისუფალისთვის – როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელ, ასევე სასამართლო დონეზე.

საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ყოფილა საქართველოს ხელისუფლების (მთავრობის) მთავარი მრჩეველი. ღიად მივმართავთ ძართველ მეცნიერებს, განსაკუთრებით მეცნიერებათა აკადემიას: თუ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ხელისუფლებები თქვენი რჩევებით მუშაობდნენ და ამ მდგომარეობაში ვართ, ცუდად ყოფილა ჩვენი მეცნიერების საქმე, ხოლო თუ თქვენ არაფერს გეკითხებიან, ან რასაც ურჩევთ, არ ითვალისინებენ, მაშინ რაღად გვინდა ასეთი ხელისუფლება?! მეცნიერება გაბედულებასთანაა დაკავშირებული. თქვენ აიმაღლეთ ხმა და ნახავთ ხალხის ისეთ მხარდაჭერას, როგორიც დღეს ვერც კი წარმოგიდგენიათ!

იგივეს ვეუბნებით ზოგადად ინტელიგენციას. სიტყვა „ინტელიგენტი“ სათაყვანებელი იყო ჩვენს სამშობლოში. ინტელიგენტის მაგალითებით ვზრდიდით თაობებს. ისინი (ქართველი ინტელიგენცია) რთულ პერიოდშიც კი, ახერხებდნენ სიმართლის თქმას და ხალხის გვერდით დგომას. გრგვინავდა საქართველო მწერალთა, მხატვართა, თეატრისა და კინოს მოღვაწეთა ყრილობების მოლოდინში... დღეს რა ხდება? გასაგებია, რომ დაქსაქსეს შემოქმედებითი კავშირები, ხალხი ერთმანეთს დაუპირისპირეს... ასეთი დამანგრეველი მუხტი შეიტანეს სპორტში, მედიცინაში, განათლებაში, მაგრამ, ღვთის წყალობით, ჯერ კიდევ დარჩნენ ადამიანები, რომლებიც არ გაიყიდნენ! იქნებ თქვენი ერთობა და კიდევ პატრიარქის ნება, რომ შეიქმნას **„საზელმწიფო კაცების საკრებულო“**, გახდეს შემობრუნების საფუძველი...

> ოდითგანვე (ეს საქართველოს მაგალითზეც კარგად სჩანს), **ინტელიგენტი იყო ის, ვინც ხალხს იცავდა ხელისუფლებისგან, ვინც ხიდი იყო ხალხსა და ხელისუფლებას შორის, ვინც თავისი ომახიანი შემოძახილით არასდროს აძლევდა ხელისუფლებას ხალხზე თვითნებობისა და ბატონობის უფლებას.**

გულს გვიკლავს, რომ ეს განწყობა სულს ღაფავს, ერთეულებში დარჩა, ძირითადი ნაწილი კი ხელისუფლებას იცავს ხალხისგან. ეს სამარცხვინოა! ხალხში ვეღარ ვსაუბრობთ ინტელიგენციაზე. „გაიყიდნენო“, - გამეფდა ეს აზრი. რეალობა მართლაც, მწარეა. ინტელიგენციამ თავისი უმოქმედობით პოლიტიკოსებსა და პარტიებს ჩაუგდო ხელში საჯიჯგნად ჩვენი სათაყვანებელი სამშობლო!

ვაღიაროთ: ასეთი ინტელიგენცია თავისი დუმილით თუ მორჩილებით, პირველ რიგში, ცუდ სამსახურს უწევს ხელისუფლებას და სახელისუფლებო პარტიებს. ისინი უკონტროლონი ხდებიან, მთელ ძალაუფლებას იგდებენ ხელში, რაც ხალხში მათ მიმართ სიძულვილს აძლიერებს!!!

თუ არა ეს, როგორ უნდა გვიბედავდნენ არჩევნების ტოტალურად გაყალბებას, რომელსაც 30 წელია ვუყურებთ და პრაქტიკულად, მისი მონაწილენი ვხდებით?! ნუთუ ვეღარ დავრწმუნდით, რომ არ შეიძლება ხმის მყიდველთან ვიდგეთ, რომ უბედურებაა ხმის მყიდველიც და გამყიდველიც, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხმის მყიდველები ყიდიან სამშობლოს – ყველა კომპრომისზე მიდიან უცხო ძალებთან სახელისუფლებო სკამის შენარჩუნებისთვის.

მოსმენაც კი შემაძრწუნებელია, რასაც ახლა საუბრობენ უცხოელი მიგრანტების ქვეყანაში შემოყვანასთან დაკავშირებით. ზნეობრივი და მართალი ხელისუფლება მთელ მსოფლიოში არსებული ფულის სანაცვლოდაც არ დაუშვებდა ამას!

თუ არა ეს, როგორ უნდა ბედავდეს ხელისუფლება ისეთი ანალიზების უგულებელყოფას, რომელთაც წლების განმავლობაში მეცნიერები აქვეყნებენ პრესაში და უგზავნიან მას. ხელისუფლება, რომელიც უგულებელყოფს ცნობილ მოღვაწეთა ისეთ წერილს, როგორიც სახელმწიფოს განვითარების კონცეფციაში „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ „იმედის წერილის“ სახითაა გამოქვეყნებული, ხალხის ხელისუფლება არ არის! როგორც ჩანს, ასეთი შინაარსის წერილებს 2005 წლიდან, ყოველწლიურად უგზავნიდნენ ქვეყნის პირველ პირებს საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები და აქვეყნებდნენ პრესაში. ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში, ასეთი მიმართვები სამთავრობო განხილვის საგანი გახდებოდა. აქ კი უკადრებელს კადრულობენ: იგნორირება მოღვაწეთა პოზიციის, სრული უპატივცემულობა მოქალაქეთა მიერ სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოში შეტანილი წერილების. ხელისუფლების მხრიდან ასეთი დამოკიდებულების პატიება ჩვენ, ხალხს ბუმერანგივით გვიბრუნდება.

ჩვენი დუმილისა და მორჩილების შედეგი არ არის ის, რასაც საინფორმაციო საშუალებები ბედავენ(?!) ხალხი დაივიწყეს, ხელისუფლებას ან „ოპოზიციას“ ემსახურებიან, ომი გამოუცხადეს ყოველგვარ ქართულს და რეალურად, ხალხის სამართლის ნაცვლად, სატელევიზიო სამართალი დაამკვიდრეს!

დუმილის და მორჩილების შედეგი არ არის, ის სახელფასო და საპენსიო სისტემა, რომელიც ქვეყანაში დამკვიდრდა?! შეიძლება, პენსიონერს, ვის მიერ შექმნილზეც გამდიდრდნენ ხელისუფლებები, გროშებს ამადლიდნენ და თვითონ ასეთი ხელფასები და პრემია-დანამატები ჰქონდეთ?! **იქნებ ხელისუფლებამ დაგვისახელოს** ერთი დემოკრატიული ქვეყანა, რომელშიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვინმე იღებდეს 150-200-ჯერ მეტს, ვიდრე პენსიონერი, 70-80-ჯერ მეტს, ვიდრე ქვეყნის უმთავრესი საყრდენი – მასწავლებელი. ასეთი მხოლოდ საქართველოა. **იცის კი ვინმემ,** რა პროცენტში აძლევენ ბანკები სესხად პენსიონერს თავისსავე პენსიას და მასწავლებელს თავისსავე ხელფასს? წლიური 35 პროცენტის ფარგლებშია! უკადრებელი გვაკადრეს. ვითმენთ! ვითმენთ იმას, რომ ხელისუფლებები არ გვპატიობენ ერთი ლარის გადაუხდელობას: ერთი დღის დავალიანების გამოც გაზს, ელექტროენერგიას გვითიშავენ, სტუდენტებს გამოცდაზე არ უშვებენ, მეწარმეს კაბალურ ჯარიმებს ადებენ და აკოტრებენ და ერთი წუთითაც არ აღელვებთ ის, რომ თავად აქვთ ხალხის ასეული მილიონობით ვალი. მხედველობაში გვაქვს ის ფული, რომელიც საბჭოთა პერიოდში შევიტანეთ ბანკებში ჩვენ, თუ ჩვენმა წინაპრებმა. ერთ დღეს ვიქეცით ღატაკებად, ჩვენს ფულებზე კი ერთეულები გამდიდრდნენ, ბევრი მათგანი დღეს ჭკუას გვარიგებს და წესიერებაზე გველაპარაკება. სწორად ამბობენ მეცნიერები: სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალის ხალხისთვის დაბრუნება ეკონომიკური აღორძინების საწყის წერტილად შეიძლება იქცეს.

> **ნუთუ ვინმეს გვჯერა, რომ ხელისუფალთა ინტერესებში არ შედის და მათი მონაწილეობით არ არის შექმნილი ველური საბანკო სისტემა, რომელიც აღარიბებს, უსახლკაროდ ტოვებს ასიათასებს და ამდიდრებს ერთეულებს?! ან ნუთუ ვერავინ ხედავს, როგორ ძირდება წამალი, როგორი მაფია მძვინვარებს წამლის ბიზნესში, რომ ავადმყოფობა მავანთათვის ბიზნესად და გამდიდრების წყაროდ იქცა. ცოდვას სჩადიან. ასეთი გზით ნაშოვნი ლუკმა საწამლავია.**

დაფიქრდით ხალხო!

დუმილის და მორჩილების შედეგი არ არის ის დამოკიდებულება, რომელიც ხელისუფლებას აქვს მეცნიერების, კულტურის, განათლების, ხელოვნების მიმართ?! შემეძრწუნებელია იმის გაცნობიერებაც კი, რომ საქართველოში კულტურაზე წლის განმავლობაში იხარჯება იმდენი, რამდენსაც მერიები, გამგეობები, გუბერნიები, სამინისტროები, სახელისუფლებო ვერტიკალი საერთოდ, ოფიციალურად ხარჯავს წლის განმავლობაში რესტორნებში, სხვადასხვა მიღებების დაფინანსებისთვის?! დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, 2008 წლიდან სახელწიფო ბიუჯეტიდან პარტიები უფრო მეტ ფულს იღებენ, ვიდრე მეცნიერებათა აკადემია.

შემაძრწუნებელი არ არის ის, რომ პრაქტიკულად, მიტოვებულია ახალგაზრდობა, სტუდენტობა?! ამ ღარიბ ქვეყანაში ყველაფერი ფასიანი გახდა, მაშინ, როცა ჩვენი ახალგაზრდობა ევროპის ბევრ ქვეყანაში უფასოდ სწავლობს! იცის კი ვინმემ, ფულის გადაუხდელობის გამო, რამდენი სტუდენტია შავ სიაში და გამოცდებზე არ უშვებენ?!

დუმილი და მორჩილება წლებია, აძლიერებს უმადურობას ჩვენი ემიგრანტების მიმართ. მადლიერების ნაცვლად, რომ პრაქტიკულად, ქვეყნის გადარჩენის მთელი სიმძიმე ბოლო წლებში მათზე გადავიდა, არათუ მათ ინტერესებს ვერ ვიცავთ იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ცხოვრობენ, არამედ, არჩევნებში ხმის უფლებაც კი წავართვით. არაერთი პოლიტიკოსის უზნეობა იქამდე მივიდა, რომ ნაცვლად იმისა, ბოდიშს უხდიდნენ თანამემამულეებს ემიგრაციაში გაყრის-

მხოლოდ ერთობა გადაგვარჩენს!

თვის, მათ გამოყენებას აპირებენ თავიანთი ბინძური ზრახვების განსახორციელებლად.

დუმილისა და მორჩილების შედეგი არ არის, რომ საქართველოდან ისევ უკონტროლოდ გადის ნედლეული?! ვერა და ვერ შევძელით სამეწარეო საქმიანობის განვითარება. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მონოპოლიზებულია ურთიერთობა მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. იგი ხელში უჭირავთ ხელისუფალთ, ან ხელისუფლებებთან დაკავშირებულ მაფიოზებს! ამის გამო კვდება მეწარმე, ყველფენ მყიდველს.

განა არ ვიცით, რომ მომხმარებელს 3-4 ლარად აძლევენ იმას, რასაც სოფელში 20-30 თეთრად ყიდულობენ? ასეა ყველაფერში. დიახ, ყველაფერი მონოპოლიზებულია და უმცირესობის ხელშია უმრავლესობის საზიანოდ! ნამდვილი მეწარმე სულს ღაფავს, ბიზნესმენს საერთოდ, კეთილგანწყობის ყიდვა სჭირდება ხელისუფლებებისგან. ეს მახინჯი სისტემა არათუ სუსტდება, არამედ უმოწყალოდ ძლიერდება. როდემდე?!

დუმილის და მორჩილების შედეგი არ არის, რომ ნადგურდება ქართული სოფელი და საქართველოს – ოდითგან მიწასთან დაკავშირებულ ქვეყანას, კვებისთვის საჭირო პროდუქტები უცხოეთიდან შემოჰქონდეს?! რომ ამ მიწის, ამ წყლის, ამ ჰაერის, ამ სითბოს, ამ გეოგრაფიული, ბუნებრივი, ადამიანური რესურსებისა და ინტელექტის ქვეყანაში შიმშილის პრობლემა იყოს?! აღარაფერს ვსაუბრობთ იმაზე, რომ ჩვენი ისტორიისა და ტრადიციის ქვეყანაში ამოცანა უნდა იყოს ქართული სოფლის არა უბრალოდ გაძლიერება, არამედ მისი, როგორც დიდი კულტურული ფენომენის აღდგენა-შენარჩუნება.

დუმილისა და მორჩილების შედეგი არ არის, რომ უმუშევრობამ არა უბრალოდ გაგვაღატაკა, არამედ სულს უღრღნის უამრავ ადამიანს?! აღარაფერი გვესმის: 1992 წლიდან, ყველა ხელისუფლება გვეუბნება, რომ ქმნის სამუშაო ადგილებს. ზოგი მილიონს, ზოგი მეტს და ზოგიც – ნაკლებს. ამ დროს კი, უმუშევრობა იზრდება, ქვეყანა ხალხისგან იცლება. ისევ სიყალბე! ისევ ტყუილი!

დუმილის და მორჩილების შედეგი არ არის, რომ წლებია, ვერ დავიხსენით თავი პოლიციისა და ჯარის პოლიტიზებისგან,?! ხელისუფლებები თავიანთი უცხოელი პატრონების წინაშე თავს იწონებენ მსოფლიოს ცხელ წერტილებში, პრაქტიკულად, სასაკლაოზე ქართველი ჯარისკაცების გაგზავნით.

ჩამონათვალის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. ყველანი კარგად ვხედავთ, რა მდგომარეობაშიც ვართ! აქედან გამომდინარე, ჩვენ ყველამ უნდა ვიფიქროთ მომავლის საქართველოზე. მომავლის საქართველო კი არც ბელადებთან, არც ოლიგარქებთანაა დაკავშირებული – დაკავშირებულია განათლებულ ადამიანთა ხელისუფლებასთან. იმ ხელისუფლებასთან, რომელიც ქვეყნის გარედან არ იმართება. ჩვენ უკვე კარგად გვაქვს წარმოდგენილი, რომ ქართული სულის ხელისუფლება გაცილებით უკეთ შეძლებს გარე სამყაროსთან ურთიერთობას, ვიდრე გარე ძალთა მსახური ხელისუფლებები.

ჩვენ გვჭირდება ნამდვილი ერთობა. სწორად ასკვნიან ჩვენი მეცნიერები, **რომ სასიკეთო ცვლილებების უმოკლეს დროში მიღწევაა შესაძლებელი, თუ შეიცვლება მართვის სისტემა, თუ შევიმუშავებთ ისეთ სისტემას, რომელიც ეძებს ძლიერს, ნიჭიერს, კვალიფიციურს, კომპეტენტურს. გვჭირდება სისტემა, რომელიც მხარს უჭერს ძლიერს და იცავს სუსტს. სისტემა, რომელიც ამკვიდრებს ნიჭის ძალაუფლებას!**

ჩვენ გვჭირდება სისტემა, რომელიც მოიყვანს ისეთ ხელისუფლებას, რომელიც იმუშავებს ქვეყნის შესაძლებლობის მაქსიმუმზე. მოიყვანს ისეთ ხელისუფლებას, რომელიც გადასახადის ამომღები კი არ იქნება, როგორც ეს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ მუდმივად გვაქვს, არამედ, ხალხს აქცევს გადამხდელუნარიანად. ყველაფერი ეს შესაძლებელია. ეს წერილიც ამიტომ იქმნება. ამიტომ ჰქვია მას „ხალხის წერილი“.

საქართველოს ბუნებრივად ესადაგება ცნობილი მეცნიერის გამოთქმა: **„ქვეყნის ქვაკუთხედია ხალხი და ბრძენკაცნი“.** ეს შეერთებაა საჭირო. ჩვენ ეს გვინდა. ჩვენ ამ გზით შევძლებთ, ვიცხოვროთ ბედნიერებით სავსე სამშობლოში. **ჩვენი დიდი სურვილია, მარტო ხელისუფლებისთვის კი არა, საერთოდ, ჩვენი სამშობლოსთვის, ადამიანი იყოს მიზანი და არა საშუალება.**

ჩვენ აქამდე საშუალება ვიყავით, რომ მავანთ და მავანთ სახელისუფლებო სკამები მიეღოთ და თავიანთი მზაკვრული გეგმები მოეყვანათ მოძმეებაში. ჩვენ აღარ გვინდა, ვიყოთ საშუალება. მაგრამ არც რევოლუციები გვინდა. ჩვენ გვინდა სისტემა და ისეთი ეროვნული ხელისუფლება, რომლისთვისაც ჩვენს სამშობლოში ადამიანი იქნება მიზანი! ამისთვის უნდა კეთდებოდეს ყველაფერი. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ თავისუფლება და პასუხისმგებლობა ერთი და იგივეა. ვეთანხმებით ძართველ მეცნიერებს, რომელთაც ხშირად მოჰყავთ ცნობილი ამერიკელი მწერლის უილიამ ფოლკნერის გამოთქმა: „ადამიანი თავისუფალია მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში“!

ჩვენ, ვინც ამ წერილს ვაწერთ ხელს, ვგრძნობთ ამ პასუხისმგებლობას. ჩვენ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ქვეყნის მომავალზე. სწორედ ამიტომ შევუერთდით მეცნიერთა მიერ შემუშავებულ კონცეფციას **„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“!**

ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვიცხოვროთ ცივილიზებულ სახელმწიფოში. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა წინა თაობების, დღევანდელობისა და მომავლის წინაშე, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების წინაშე. ამ პასუხისმგებლობით და თანამშრომლობის დიდი სურვილით ვწერთ და ვაქვეყნებთ ამ წერილსაც. ის ეკუთვნის ყველას, ვინც იზიარებს ამ მოსაზრებებს. ვინც იცის, რომ დუმილი დღეს ღალატის ტოლფასია!

შენიშვნა: წერილზე უკვე მიღებულია 4000-მდე ხელმოწერა. ყველა მსურველს შეუძლია შემოუერთდეს, მოგვწეროს თავისი მოსაზრებები. ეს შესაძლებელია ფეისბუქის გვერდზე "გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ" ფეისბუქის ჯგუფში „მორალური გუნდი“,

(ვებ.გვერდზე www.civilizebuli.ge;
ელ.ფოსტით civilizebuli@gmail.com;
moralurigundi@gmail.com).

ქვეყანაში პოლიტიკანების პარპაში უნდა დამთავრდეს

ბელგიის ქალაქ ლიეჟში ემიგრანტ ქართველთა შეკრების მონაწილეებს!

ბატონებო,

პატივისცემითა და თანამშრომლობის დიდი სურვილით, მოგესალმებით ბელგიის ქალაქ ლიეჟის ქართველთა მსოფლიო კრების ორგანიზატორებს.

როგორც ყოველი ქართველისთვის, ასევე ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის, მნიშვნელოვანია ქართველთა ნებისმიერი შეკრება. მით უფრო, როცა ის ტარდება უცხოეთში და თუ მას ავტორიტეტული ორგანიზაცია ატარებს.

ტრაგიკულია, რომ 90-იანი წლების შემდგომ, 2 მილიონზე მეტი ქართველი იძულებული გახდა, გასულიყო ქვეყნიდან საკუთარი ოჯახისა და ახლობლების სიცოცხლის გადასარჩენად. პრაქტიკულად, ამ ადამიანებმა არა მარტო საკუთარი ოჯახები და ახლობლები, არამედ საქართველო გადაარჩინეს.

ჩვენ ძალიან გვაწუხებს, რომ ეს პროცესი კვლავ გრძელდება. ამასთან, გვაწუხებს ის უმადურობა, რომელსაც ხელისუფლებები იჩენდნენ და დღესაც იჩენენ ამ ადამიანებისადმი. კიდევ მეტად უარესია, როცა სწორედ ისინი, რომელთა თავხედობამ და უნიათობამ ეს ხალხი იძულებული გახადა, ქვეყნიდან წასულიყო, ხელისუფლებაში ყოფნის დროს ძალაუფლების შენარჩუნებისთვის იყენებდნენ, ხელისუფლებიდან წასვლის შემდგომ, ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის! მიგვაჩნია, რომ ამ პროცესის პოლიტიზება დამანგრეველია საქართველოსთვის!

8 თებერვალს, დავითობას, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ კედლებში, ვიკრიბებით **„ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა კონგრესის“** სესიაზე, რომელიც აგრძელებს ოთხი წლის წინ დავითობას, აქვე ჩატარებული სესიის განწყობას - ასრულებს ხუთწლიანი მუშაობის ციკლს საზოგადოებრივი პროექტით: **„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“** და მისი რეალიზაციის მასშტაბური პროგრამით: **„ახალი განზომილება“.**

როგორც დაგეგმილი გვქონდა, სწორედ დავითობას ვიწყებთ კონგრესის სესიების ორგანიზებას მსოფლიოს 40 ქვეყნის 85 ქალაქში, სადაც ისტორიულად თუ ბედის უკუღმართობის გამო, თითოეულ ქალაქში 1000-ზე მეტი ქართველი მაინც ცხოვრობს. **გელათის** შემდგომ პირველი სესია ჩატარდება საფრანგეთის **ქ.ლევილის** ქართველთა მამულში **26 მაისს,** საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, (პარიზის შემდგომ), საბერძნეთის სამ ქალაქში: **ოლიმპოს, ნიკეასა** და **ათენში**. კონგრესის საზღვარგარეთის სესიები დასრულდება უკრაინასა და ისრაელში. კონგრესის სესიებთან ერთად ეს იქნება ამ ქვეყნებთან ჩვენი ისტორიული მეგობრობის დადასტურებაც და რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია, ამ ქვეყნებში ჩავატარებთ **დავით გურამიშვილისა** და **შოთა რუსთაველის** იუბილეებს. ყველაფერი ეს დასრულდება 2020 წლის შემოდგომაზე, საქართველოში, **„ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა კონგრესით“**. ეს პრაქტიკულად, იქნება ეროვნული ყრილობა, რომლის აუცილებლობაზეც საუბრობდნენ ჩვენი დიდი წინაპრები.

ეს გრანდიოზული პროექტია – მისი განხორციელება შეუძლებელია ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების ერთობის გარეშე.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ მიუხედავად დიდი სირთულეებისა, შესაძლებელი გახდა, არ გაწყვეტილიყო პროცესი. 1994-95 წლებში, ბატონების **რეზო ჩხეიძის, მერაბ ბერძენიშვილის,** ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის ინიციატივით დაიწყო და თბილისში შედგა ქართველთა პირველი კონგრესი. კონგრესის მმართველ ორგანოს არ შეუწყვეტია მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების არათუ მხარდაჭერა არ ჰქონდა, არამედ მხოლოდ მათი მხრიდან ხელისშეშლა და წინააღმდეგობა იყო. უფრო მეტიც, 2006 წელს დაარბიეს საინიციატივო ჯგუფის ოფისი თბილისში და რამდენიმე პიროვნება დააპატიმრეს კიდეც.

სწორედ ამის გამო იყო, რომ 2009 წლის მაისში, ეს შეხვედრა შედგა არა **თბილისში,** არამედ **სოჭში, იმერეთის დაბლობზე,** სადაც ქართველებთან, ოსებთან და აფხაზებთან ერთად მსოფლიოს 18 ქვეყანაში მცხოვრებმა ქართველებმა მიიღეს მონაწილეობა. მწარედ ვიხსენებ იმას, რომ სოჭის კონგრესის რამდენიმე მონაწილე, რომელთაც იმჟამინდელი საქართველოს ხელისუფლება დააპატიმრებით ემუქრებოდა, რუსეთში დააპატიმრეს. ვფიქრობ, მრავლისმეტყველი ფაქტია.

ბატონებო,

მივიღე გადაწყვეტილება, დავესწრო თქვენს მიერ ორგანიზებულ კრებას და წარმოვადგინო **„ქართული ერთობის დარბაზის“, „მეცნიერთა კონგრესი ეროვნული თანხმობისთვის“, „საქართველოს ხალხთა ასამბლის“** მხარდაჭერით, მეცნიერთა დიდი ჯგუფის მიერ მომზადებული კონცეფცია **„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“**. მინდა, ვირწმუნო, რომ ლიეჟში „თანამემამულეთა მსოფლიო კრება“ შედგება კონსტრუქციული საუბრით და მომეცემა საშუალება, ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციათა სახელით მივმართო კრებას. მით უფრო, რომ გელათის კონგრესი სპეციალურ მიმართვას მიიღებს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისადმი.

გამოსვლაში წარმოვადგენთ ჩვენი თანამოაზრეების ხედვას, როგორ გავაერთიანოთ პარტიულ სამთავროებად დაყოფილი საქართველო, როგორ შევძლოთ პოლიტიკური მიზნებისთვის დაპირისპირებული თაობების, ქვეყნის გარეთ გასულ თანამემამულეთა და ქვეყანაში დარჩენილთა სულიერი ერთობის აღდგენა.

დიახ,მე მოვდივარ მეცნიერთა დიდი ჯგუფის მიერ შედგენილი პროგრამით **„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“** და **გელათის კონგრესზე** მიღებული პროგრამით **„ახალი განზომილება“** .

დარწმუნებული ვარ, ჩვენი შეხვედრა იქნება კონსტრუქციული და დაადასტურებს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ჩვენი თანამშრომლობის განწყობასაც.

დასკვნის სახით კი ვიტყვი:

- **წარსულს უნდა ჩაბარდეს პარტიულ სამთავროებად დაყოფილი საქართველო, პოლიტიკანთა პარპაში ქვეყანაში;**
- **წარსულს უნდა ჩაბარდეს რევოლუციები და რევოლუციებით ხელისუფლებაში, „ქუჩის პოლიტიკოსების“ მოსვლა;**
- **წარსულს უნდა ჩაბარდეს ისეთი ხელისუფლებები, რომელთაც დაივიწყეს, რომ ადამიანი მიზანია და არა საშუალება ხელისუფლებაში მოსვლისა და შენარჩუნებისთვის;**
- **წარსულს უნდა ჩაბარდეს ბელადომანია და ოლიგარქების მმართველობა.**

ხალხმა უნდა დაიბრუნოს პოლიტიკანების მიერ წართმეული სამშობლო. უნდა გაცნობიერდეს, რომ ქვეყნის გადარჩენა არა ფულის, არამედ ნიჭის ძალაუფლებასთანაა დაკავშირებული. ყველაფერი ამისთვის კი, მორალურ და ღირსების მქონე ადამიანთა დიდი ერთობაა საჭირო.

ვფიქრობ, ეს არის მოაზროვნე ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა განწყობა.

პატივისცემით,
გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

თეიმურაზ შაშიაშვილი

P. S.

ყველა მასალა, რომელთა თაობაზეც მოგახსენებდით, შეგიძლიათ, ნახოთ ვებ.გვერდზე WWW.CIVILIZEBULI.GE.

ეს წერილი გუშინ გადაეგზავნა ბელგიის ქალაქ ლიეჟში „თანამემამულეთა მსოფლიო კრების“ ორგანიზატორებს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, პასუხი არ არის. დარწმუნებული ვარ, მიიღებენ ჩემს წინადადებას: მექნება დასწრების და სიტყვის თქმის საშუალებაც...

... აღჭურვილია კამერებით და 24 საათის ნაცვლად, ეს ჩანაწერები ინახება 120 საათი

ШИНАГАН საქმეთა სამინისტრომ დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2018 წლის ანგარიში წარადგინა. სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გამართული პრეზენტაციის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

„მოგეხსენებათ, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორების დეპარტამენტი არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების შესაბამისი სტანდარტის დაცვის პირდაპირ ვალდებულება ეკისრება. 2018 წელს საკმაოდ წარმატებულად ვიმუშავეთ, სერიოზული ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა — სარემონტო სამუშაოები იყო ჩასატარებელი, წესრიგში მოსაყვანი. რაც მთავარია, დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა დროებით მოთავსების იზოლატორში ინფრასტრუქურა აღჭურვილია კამერებით და 24 საათის ნაცვლად, ეს ჩანაწერები ინახება 120 საათი. კამერები მნიშვნელოვანია, რადგან ეს იცავს ადამიანის უფლებებს და ასევე, ჩვენს თანამშრომლებსაც. ასევე, მინდა გითხრათ, რომ 2019 წელს ყველაზე დიდი მიღწევა და წინგადადგმული ნაბიჯი იქნება — თბილისს ექნება ახალი დროებითი მოთავსების იზოლატორი. აბსოლუტურად თანამედროვე და საკმაოდ დიდი. ვფიქრობ, რომ ეს ადამიანის უფლებების ნაწილში შესაბამისი სტანდარტის დაცვის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

დროებითი მოთავსების იზოლატორების განვითარების პრეზენტაცია ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროექტის „ადამიანის უფლებები ყველასათვის“ მხარდაჭერით გაიმართა.

გიორგი გახარია ფარული ჩანაწერების გავრცელების შესახებ

ШИНАГАН საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ სამინისტროს ღონისძიების დასრულების შემდეგ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. გიორგი გახარიას განცხადებით, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების მასობრივად გავრცელების საქმეზე გამოძიების ფარგლებში მობილიზებულია სამინისტროს და მეგობარი უწყებების რესურსები.

„მინდა გითხრათ, რომ გამოძიება გრძელდება. ეს არ არის მარტივი ტექნიკურად, ჩვენ თუ დაგვჭირდა გარკვეულ ეტაპზე, ვფიქრობთ, რომ ვთხოვოთ ჩვენს პარტნიორებს დახმარება, რადგან კიბერდანაშაული საკმაოდ რთულად გამოსაძიებელი დანაშაულია.

მობილიზებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს და ჩვენი მეგობარი უწყებების რესურსი იმისთვის, რომ უპირველეს მიზანს მივაღწიოთ და გავრცელების პირველ წყაროს მივაგნოთ. ამაზე ვმუშაობთ, თუმცა, ასევე მინდა გითხრათ, რომ ეს იმდენად მძიმე დანაშაულია, რომ ჩვენთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და მთლიანად სამართალდამცავი სისტემისთვის, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს და არ ექნება სხვაობას გავრცელებას, პირველწყაროს და შენახვას შორის.

როგორც კი ჩვენ აქ დავუშვებთ კომპრომისს და გვექნება განსხვავებული მიდგომები გავრცელებას, შენახვას და პირველწყაროს შორის, მსგავს დანაშაულთან ბრძოლა იქნება საკმაოდ რთული. ამიტომ, ზოგ შემთხვევაში ჩვენ გვესმის საზოგადოების კრიტიკა, რომ საკმაოდ მკაცრი ნაბიჯების გადადგმა მოგვიწია, თუმცა, ჩვენ იძულებული ვართ, ეს გავაკეთოთ და ამას გავაგრძელებთ“ — განაცხადა გიორგი გახარიამ.

63 დაზარალებულ მოქალაქეს უკანონოდ ჩამორთმეული 67 მიწის ნაკვეთი დაუბრუნდება

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ფაქტის გახსნის შედეგად, 63 მოქალაქე დაზარალებულად ცნო. მათ ზუგდიდისა და ხობის რაიონებში მდებარე უკანონოდ ჩამორთმეული 67 მიწის ნაკვეთი დაუბრუნდებათ.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2009-2010 წლებში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყების მიზნით მოლაპარაკებას აწარმოებდა ერთ-ერთ კერძო კომპანიასთან, რომელსაც ანაკლიასა და მის მიმდებარედ პორტის მშენებლობისთვის საჭირო მიწის ფართობი უნდა გამოყოფოდა. ამ პროცესს და ინვესტორისთვის მიწის გადაცემას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ტერიტორიაზე არსებული მიწის ფართობის გარკვეული ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებად ირიცხებოდა. ისინი კი საკუთრების დათმობის სანაცვლოდ შესაბამის კომპენსაციას მოითხოვდნენ.

პროცესის გამარტივების და მოსახლეობისთვის კომპენსაციის გაცემისგან თავის არიდების მიზნით, იმჟამინდელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებით, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, საკუთრების უფლების უხეში დარღვევით, მესაკუთრეთა ნების საწინააღმდეგოდ და მათგან ფარულად, საჯარო რეესტრში ყალბი საკადასტრო ნახაზი გადააგზავნა. დოკუმენტის საფუძველზე 2000 ჰა-ზე მეტი ფართობის მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაში დარეგისტრირდა. მათ შორის აღმოჩნდა ადგილობრივი მცხოვრებლების მიწის ნაკვეთებიც, ისე, რომ მოსახლეობას რაიმე სახის კომპენსაცია არ მიუღია, რითაც უხეშად დაირღვა მათი საკუთრების უფლება.

დეპარტამენტის შემაჯამებელი გადაწყვეტილების საფუძველზე, 63 დაზარალებულ მოქალაქეს ზუგდიდისა და ხობის რაიონის სოფლებში: ანაკლიაში, დარჩელში, ცაისში, ცაცხვში, ორულუში, ერგეტაში, გურიფულსა და ხეთაში, მდებარე 67 მიწის ნაკვეთი დაუბრუნდებათ, რომელთა საერთო ფართობი 379 403 კვ/მ შეადგენს.

რაც შეეხება ქონების უკანონოდ ჩამორთმევაში მხილებულ ყოფილ საჯარო მოხელეებს, გამოძიებასთან თანამშრომლობის ხარისხის გათვალისწინებით, პროკურატურა გამოძიების დასრულების შემდეგ მათ მიმართ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხზე იმსჯელებს.

რატომ ქურდობენ ბავშვები?

ბავშვთა ფსიქოლოგი გვირჩევს

ШИНАГАН საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა 2018 წლის სტატისტიკა, რომელიც ამბობს, რომ ქურდობათა უმრავლეს შემთხვევაში 14-18 წლის, ან 14 წლამდე არასრულწლოვნები ფიგურირებენ. რატომ ქურდობენ ბავშვები და რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ დანაშაულის შესამცირებლად? რადიო „თავისუფლება“ ამ საკითხზე ბავშვთა ფსიქოლოგს მაია ცირამუას გაესაუბრა.

— რა არის დანაშაულის ჩადენის ძირითადი მიზეზი?

— 14 წლამდე ასაკის პირების მიერ დანაშაულის ჩადენის მაღალი სტატისტიკა ერთმნიშვნელოვნად უკავშირდება ქვეყანაში სოციალური სამსახურების და განათლების სისტემის არაეფექტიან მუშაობას.

— არაეფექტიან მუშაობაში რა იგულისხმება?

— დროული რეაგირების არარსებობა ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ან უგულებელყოფილ ბავშვებზე, რომლებიც ძირითადად ოჯახის მეთვალყურეობის მიღმა რჩებიან, ხშირად განათლების სისტემის მიღმაც. დანაშაული მეტწილად, მჭიდრო კავშირშია სიღარიბესთან.

— არასრულწლოვანთა დანაშაულებს შორის ქურდობა ყველაზე ხშირია. რატომ?

— ქურდობა, მოპარვის ქცევა, ან მოწყალების თხოვნა ბავშვის მხრიდან არის თავის გადარჩენის ერთადერთი საშუალება. მაშინაც კი, როცა ასეთ ბავშვებს სახელმწიფი ინახავს და ისინი მისი ზრუნვის ქვეშ ექცევიან, მათ ძალიან უჭირთ ამ ტიპის ქცევისგან თავის შეკავება. ეს არის ქცევა, რომელიც მათთვის დაკავშირებულია დაცულობის განცდასთან, უსაფრთხოების შეგრძნებასთან და ღრმად არის გამჯდარი ბავშვის ფსიქიკაში. როდესაც ასეთი ბავშვები გადაჰყავთ ე.წ. ბავშვთა სახლში ან მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლში, ამ ბავშვების პირად სივრცეში ხშირად იპოვით მოპარულ ფუნთუშას, კანფეტს. ამ ქცევის გარეშე ისინი დაცულობის შეგრძნებას ვერ მოიპოვებენ და ძალიან დიდი მუშაობა სჭირდება, რათა გათავისუფლდნენ ამ ტიპის ქცევისგან.

— სახელმწიფო პრობლემის გადაჭრას „კომპლექსურ მოგვარებაში“ ხედავს...

— რამდენად არის მზად სახელმწიფო თინეიჯერების ცხოვრების გასამრავალფეროვნებლად? იმ რისკების შემცირებისთვის, რაც, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები რომც გამოვრიცხოთ, თან სდევს თინეიჯერობის ასაკს. როცა ბავშვს მოზარდობის ასაკში გული გარეთ მიუწევს, რა ხვდება იქ, რას ახვედრებს მას სახელმწიფო, არის გამართული სპორტული მუშაობა?...

ამ პრობლემის გადაჭრას სჭირდება: სიღარიბის დაძლევის პროგრამა, მშობლის პოზიტიური უნარების პროგრამა, ოჯახის გაძლიერების, რთული ქცევის დაძლევის პროგრამები და სხვა. ხშირად, ასეთ ბავშვთა ფსიქოლოგებიც აბსოლუტურად უსუსურები არიან, რადგან ხედავენ, ბავშვისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ჰქონდეს საჭმელი, ვიდრე ჩართული იყოს ბრაზის მართვის ან დანაშაულის გააზრების პროგრამაში.

— შეიძლება, რომ ამ ბავშვების უკან ვინმე იდგეს?!

— შესაძლებელია! დღეს ჩვენ გვაქვს ბავშვზე ორიენტირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის თანახმად 14 წლამდე პირებს პოლიცია არ აკავებს, 14-დან 18 წლამდე ასაკის პირები კი ხვდებიან განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში. გამორიცხული არ არის, რომ ამას ვიღაც სათავისოდ იყენებს. ბავშვებს ეუბნებიან, შენ არ დაგიჭერენ, მიდი, მოიპარეო. ბავშვი კი, მოზარდობის ასაკში სულ რაღაც თავგადასავალს ეძებს, სადაც დიდი დოზითაა ადრენალინი. ასეთი ტიპის ქმედებებში ბავშვის აყოლიება ძალიან იოლია.

— კანონის გამკაცრება უშველის ამ საქმეს?

— არა. კანონის გამკაცრება, ბავშვების ციხეში ჩასმა კიდევ უფრო მეტად ზრდის განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელს. და ამას ადასტურებს არაერთი გამოკვლევა. უკეთესი შედეგი აქვს ბავშვზე ორიენტირებულ, ჰუმანურ მიდგომას. სიღარიბის მაჩვენებელზე, ძალადობაზე დროული რეაგირება პირდაპირ უკავშირდება დანაშაულის პრევენციას.

ეკა ძევანიშვილი

„განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“

კიდევ ერთი ცნობა ამ ამბავთან დაკავშირებით: 2012 წლის თებერვალში ინტერნეტში გაჩნდა ასეთი დოკუმენტი: **მ.ბ. ოლენევის „საბჭოთა პარტელიტის გენიალოგია“.** ჩამონათვალში არიან 20-30-იანი წლების მოღვაწენი: ალილუევები, ბერიები, ბუხარინები, ვოზნესენსკები, ვოროშილოვები, ვიშნევსკები, ჯუღაშვილები, დერჟინსკები, ჟდანოვები, ზინოვიევები, კაგანოვიჩები, კალინინები, კამენევები, მალენკოვები, მიქოიანები, მოლოტოვები, ორახელაშვილები, ორჯონიკიძეები, პოდვოისკები, ტროცკები, ულიანოვები, ხრუშჩოვები.

ლ. ბერიასთან დაკავშირებით ასეთი ცნობაა:

„შვილები: ეთერ ლავრენტის ასული, ქმარი ვ. გრიშინი — პოლიტბიუროს წევრის, სკკპ მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივნის ვაჟი; გეგეჭკორი სერგო ლავრენტის ძე. დაპატიმრებული იყო 1953 წლის ივლისში. მოსკოვიდან გასახლებულია 1954 წ. რძალი მარფა მაქსიმოვნა პეშკოვა, შვილიშვილები: ნინა სერგეევნა, ნადეჟდა სერგეევნა, სერგეი სერგეევიჩი“.

თუ ეს ცნობა უტყუარია, ირკვევა, რომ ლ. ბერია თავის უკანონო შვილს სიკვდილამდე პატრონობდა, მისცა გვარი (სერგოს მამის გვარი, ლავრენტის მკვლელობის შემდეგ დედის გვარით გეგეჭკორით შეუცვალეს. ასევე მომხდარა უკანონო ქალიშვილის მიმართაც. სერგო თავისი ნახევარდის სახელს — ეთერს არსად არ ახსენებს... ქართული სახელია და ესეც ნიშანდობლივია).

განაჩენი

„ყველა სამართალში მიცემულისთვის წაყენებული ბრალდება ეყრდნობა უტყუარ დოკუმენტებს, ნივთმტკიცებებს, განსასჯელთა ჩანაწერებს, მრავალრიცხოვანი მოწმეებისა და დაზარალებულების, აგრეთვე შეთქმულთა ჯგუფის წევრთა ჩვენებებს.

მტკიცებულებებით გამომჟღავნებულმა ბერიამ, მერკულოვმა, დეკანოზოვმა, ქობულოვმა, გოგლიძემ, მეშიკმა და ვლოძიმირსკიმ სასამართლო გამოძიებისას დაადასტურეს წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები და აღიარეს რამდენიმე მძიმე სახელმწიფო დანაშაული.

სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ბერიას ბრალეულობა სამშობლოს ღალატში, ანტისაბჭოთა შეთქმულებების ორგანიზებაში ძალაუფლების მიტაცებისა და ბურჟუაზიის ბატონობის დამყარების მიზნით, კომუნისტური პარტიისა და ხალხის ერთგულ პოლიტიკურ მოღვაწეთა მიმართ ტერორისტული აქტების ჩადენაში, რევოლუციური მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში 1919 წლიდან, როცა ბაქოში მუსავატელთა კონტრდაზვერვის საიდუმლო აგენტი იყო გამომჟღავნებამდე და დაპატიმრებამდე, ანუ რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1-ბ, 58-8, 58-11, 38-13 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულობებში.



ლავრენტი ბერია პატიმრობისას (ეს სურათი დაკრულია მისი პატიმრობის ანკეტაზე).

ამას გარდა, განსასჯელმა ბერიამ ჩაიდინა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 4 იანვრის განკარგულების („გაუპატიურებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“) მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.“

ბოლო სიტყვაში ლ. ბერიამ თქვა: „მე უკვე განვუცხადე სასამართლოს თუ რაში ვალიარებ თავს დამნაშავედ. მე დიდხანს ვმალავდი ჩემს სამსახურს მუსავატელთა კონტრრევოლუციურ დაზვერვაში. ოღონდ ვაცხადებ, რომ იძ სამსახურის დროს არაფერი ჩამიდენია საზიანო.

მთლიანად ვაღიარებ ჩემს მორალურ-საყოფაცხოვრებო გახრწნას. ძალებთან მრავალრიცხოვანი კავშირები, რაზეც აძ იყო ლაპარაკი, მარცხვენენ მე როგორც მოძალაძეს და როგორც პარტიის ყოფილ წევრს.

ვაღიარებ, რომ დროზდოვასთან კავშირის დამყარებით მე ჩავიდინე დანაშაული, ოღონდ უარვყოფ ძალადობის ფაძტს.

ვაღიარებ, რომ პასუხისმგებელი ვარ 1937-1938 წლებში სოციალისტური კანონიერების დამახინჯებასა და გადახრებში, მაგრამ სასამართლოს ვთხოვ, გაითვალისწინოს, რომ ამ დროს არ მძონდა კონტრრევოლუციური მიზნები.

თავს დამნაშავედ არ ვთვლი დიდი სამამულო ომის პერიოდში კავკასიის დაცვის დეზორგანიზების ცდაში.

გთხოვთ, განაჩენის გამოტანისას საფუძვლიანად გააანალიზოთ ჩემი ძმედებანი, არ განმიხილოთ როგორც კონტრრევოლუციონერი და მომიყენოთ სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებიც სინამდვილეში დავიმსახურე“.

იხელმძღვანელა **რა რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 319-ე და 320-ე მუხლებით, სასამართლომ:**

ს. ბერიას, ლავრენტი პავლეს ძეს — რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ“, 58-8, 58-13, 58-11 და სსრკ უმაღლესი საბჭოს 1949 წლის 4 იანვრის განკარგულების მე-2 ნაწილით მიუსაჯა დახვრეტა პირადად მისი კუთვნილი ქონების კონფისკაციით;

2. მერკულოვს ვსევოლოდ ნიკოლოზის ძეს;

3. დეკანოზოვს ვლადიმერ გიორგის ძეს;

4. ქობულოვს ბოგდან ზაქარიას ძეს;

5. გოგლიძეს სერგო არსენის ძეს;

6. მეშიკს პავლე იაკობის ძეს;

7. ვლოძიმირსკის ლევ ემელიანის ძეს.

რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1, 58-8, 58-11 მუხლებით ჩადენილ დანაშაულთა ერთობლიობის საფუძველზე ყველას მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა სამხედრო წოდებათა, ორდენებისა და სხვა ჯილდოების ჩამორთმევითა და პირადი ქონების კონფისკაციით.

განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“.

სასამართლო სხდომა დაიწყო 1953 წლის 18 დეკემბერს. სასამართლო განაჩენის გამოსატანად გავიდა 23 დეკემბერს 13 საათსა და 40 წუთზე, ხოლო 18 საათსა და 45 წუთზე სასამართლოს თავმჯდომარემ განაჩენი („სრულიად საიდუმლოს“ გრიფით) გამოაცხადა და სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს სასამართლო სხდომა დახურულად გამოაცხადა.

აქტი

1953 წლის 23 დეკემბერს 19 საათსა და 50 წუთზე სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს 1953 წლის 23 დეკემბრის №003 მოწერილობის საფუძველზე ჩემი, სპეციალური სასამართლო საკრებულოს კომენდანტის გენერალ-პოლკოვნიკ პ.ფ. ბატიცკის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, იუსტიციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის რ.ა. რუდენკოს და არმიის გენერალ კ.ს. მოსკალენკოს თანდასწრებით, სისრულეში მოყვანილია სპეციალური სასამართლო საკრებულოს განაჩენი სასჯელის უმაღლესი ზომის — **დახვრეტის შესახებ მსჯავრდებულ ლავრენტი პავლეს ძე ბერიას მიმართ.**

გენერალ-პოლკოვნიკი ბატიცკი,
სსრ კავშირის გენერალური პროკურორი
რუდენკო,
არმიის გენერალი მოსკალენკო.

აქტს სიკვდილის დადასტურების შესახებ ექიმის ხელმოწერა არ ახლავს.

გვამი დაწვეს მოსკოვის (დონის) კრემატორიუმში.

აქტი

1953 წლის 23 დეკემბერს, 21 სთ და 20 წუთზე დახვრიტეს დანარჩენი 6 მსჯავრდებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლენევმა, მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილემ კიტაევმა გენერალ-პოლკოვნიკ გეტმანის, გენერალ-ლეიტენანტ ბაკეევისა და გენერალ-მაიორ სოპილნიკის თანდასწრებით.

სიკვდილი დაადასტურა ექიმმა (ხელმოწერა)

არაერთგვაროვნად შეიძლება ლავრენტი ბერიას შეფასება, ჯერაც არ მომხდარა მისი რეაბილიტაცია, თუმცა შვილი სერგო, რომელმაც გარდაცვალებამდე, ბევრს ეცადა, რომ სასამართლოს მოეხსნა 1953 წელს მამამისის მიმართ წაყენებული ბრალდებები.

ცნობილი მწერალი ნიკოლაი ზენკოვიჩი იგონებს: „1991 წელს შევხვდი ნინა გეგეჭკორს, დახვრეტილი ბერიას ქვრივს. არასოდეს არ დამავიწყდება საუბრისას ნათქვამი მისი სიტყვები: დღეს რომ იმ სიტყვებს ვკითხულობ, კიდევ უფრო ვრწმუნდები მის საოცარ სიზუსტეში. ხანდაზმული ქალბატონი, ერთ დროს უძლიერესი ადამიანის მეუღლე, რომლის სახელის გაგონებაც კი შიშის ზარს სცემდა ყველას, მივიდა საოცარ ჭეშმარიტ დასკვნამდე, რაც თავისებურად ხსნის თავად ბერიას ტრაგედიასაც:

— ადამიანებმა უნდა იფიქრონ მხოლოდ საკუთარ სამშობლოზე — მითხრა მან მაშინ, — ვერანაირი სხვა ხალხი ვერ დააფასებს შენს შრომას. აიღეთ ჯუღაშვილი-სტალინი, ორჯონიკიძე, ჩხეიძე, წერეთელი, ენუქიძე, გეგეჭკორი, ბერია და ქართული წარმომავლობის სხვა საბჭოთა მოღვაწეები. მათ გულით სჯეროდათ, რომ იბრძოდნენ მთელი ქვეყნიერების უკეთესი მომავლისთვის, ერთი კეთილშობილური მიზანი ჰქონდათ. რა გამოვიდა აქედან? არაფერში არ გამოადგნენ არც თავიანთ სამშობლოს, არც ხალხს, სხვა ხალხებმა არ დააფასეს მათი შრომა, გამოვიდა, რომ ყველა ეს ქართველი უსამშობლოდ მოკვდა“.

საკმაოდ მეამბოხური აზრი იყო 1991 წლისთვის. ეს ახლა აღიქმება ყველაფერი სხვაგვარად. ამაოდ როდია ნათქვამი — „ყველაფერი იბადება, როგორც ერესი და კვდება, როგორც ცრურწმენა“. ნინა გეგეჭკორის სიტყვებმა დაადასტურა მოვლენების შემდგომი განვითარება. მის მიერ დასახელებული ქართველების ბედი გაიზიარა ბევრმა სომეხმა, აზერბაიჯანელმა, ბელორუსმა, უკრაინელმა, ყაზახმა და ლატვიელმა. აიღეს „გმირი ინტერნაციონალისტების“ ძეგლები, როგორც მოსკოვში, ისე მათ ისტორიულ სამშობლოში. არა მხოლოდ ქუჩებმა, მოედნებმა და სტადიონებმა, არამედ ქალაქებმაც მიიღეს ახალი (არა, ძველი!) სახელები... დაიხურა ძველი კერპების მუზეუმები, მართლაც სულ წყალში ჩაიყარა „დიადი იდეებისთვის“ მებრძოლი ამ ადამიანების მთელი შრომა და ძალისხმევა“ — აღარავის სჭირდება ყოველივე ეს, არც მოსკოვს და არც მათ სამშობლოს...

ალეკო ასლანიშვილი.

ყოფილ პრეზიდენტს 13 წლამდე პატიმრობა მიესაჯა

ბრაზილიის ყოფილი პრეზიდენტი ლუის ინასიო ლულა და სილვა სასამართლომ კორუფციასა და ფულის გათეთრებაში დამნაშავედ მიიჩნია და მას 12 წლითა და 11 თვით პატიმრობა მიუსაჯა.



საქმე ეხება სან-პაულოს შტატში მდებარე სახლსა და მიწის ნაკვეთს, რომელიც გამოძიების მტკიცებით, ექს-პრეზიდენტმა უძრავი ქონება უკანონოდ მიღებული სახსრებით შეიძინა, ან მას კერძო კომპანიებმა გარკვეული პრივილეგიების სანაცვლოდ გადასცეს. სამართალდამცავი ორგანოების ვერსიით, უძრავი ქონების ნამდვილი მფლობელ ლულა და სილვაა, თუმცა ქონება მისი გარემოცვის წევრებზე იყო გაფორმებული.

თვითონ ლულა და სილვა ამტკიცებდა, რომ ის ნამდვილად აპირებდა აღნიშნული უძრავი ქონების შეძენას, თუმცა მფლობელმა მისი გაყიდვა გადაიფიქრა. ყოფილი პრეზიდენტი მთელი პროცესის განმავლობაში თავის უდანაშაულობას ამტკიცებდა.

სულ ბრაზილიის ყოფილი პრეზიდენტის მიმართ ბოლო წლების განმავლობაში შვიდი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ერთერთ მათგანში ის გამართლდა.

დასასრული. დასაწყისი იხ. №23-27

ვენესუელური ოქროს საიდუმლო და მოსკოვი

არსებობს ეჭვი, რომ კრემლი ვენესუელელ ლიდერს ნიკოლას მადუროს ოქროს განაღდებაში დაეხმარა. ამ ვერსიის მიხედვით, მოსკოვმა ვენესუელური ოქროს ლოდები, რომელიც მოსკოვის ცენტრალურ ბანკში ინახებოდა, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში გადაიტანა. ინფორმაცია საგამომძიებლო გამოცემამ გაერთიანებული არაბული საემიროებიდან დაფარულ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა.

რუსული გამოცემის, **„ნოვაია გაზეტას“** მიერ გამოქვეყნებული ცნობები, ვენესუელაში დემოკრატიის მომხრე აქტივისტების შიშებს კიდევ უფრო აღრმავებს, რომ მოსკოვი შეეცდება ნიკოლოს მადუროს მხარდაჭრას და მის გადარჩენას. ნიკოლოს მადუროს მიერ პოსტის დატოვებას ვენესუელაში ქუჩის დემონსტრაციებით ითხოვენ. ოპოზიციის ლიდერმა ხუან გუაიდომ, რომელიც ოპოზიის მიერ კონტროლირებად ეროვნულ ასამბლეას ხელმძღვანელობდა, მადურო არალეგიტიმურ პრეზიდენტად ცნო და თავი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად გამოაცხადა.

რუსმა ოფიციალურმა პირებმა დაგმეს ამერიკის სანქციები ვენესუელის ნავთობ-მწარმოებელი სექტორის წინააღმდეგ. ვაშინგტონის გადაწყვეტილების მიზანი მადუროსთვის საჭირო რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვაა, რომელიც მას არმიის დასაფინანსებლად სჭირდება. არმიის ნაწილი ამ დრომდე მადუროს მხარეზე რჩება. კრემლმა განაცხადა, რომ სანქციები ვენესუელის შიდა პოლიტიკაში ჩარევაა. მოსკოვი მადუროს ოპოზიციას, რომელსაც მხარი დასავლეთის მთავრობების უმრავლესობამ და ლათინური ამერიკის ქვეყნებმა დაუჭირეს, ეწინააღმდეგება.

ნაღდი ფული ოქროს სანაცვლოდ

გავრცელებული ცნობების მიხედვით, რუსულმა ტვითრთმზიდმა თვითმფრინავმა ბოინგ 757-მა 29 იანვარს მოსკოვიდან ოქრო დუბაიში გადაიტანა, რის შემდეგაც ოქრო ამერიკულმა დოლარებმა ჩაანაცვლა და მარიოკოს გავლით კარაკასში იქნა ტრანსპორტირებული.

რუსეთის ცენტრალური ბანკის დირექტორმა ელვირა ნაბიულინამ ეს ბრალდება უარყო და განაცხადა, რომ ბანკი არ ინახავდა ვენესუელური ოქროს რეზერვებს. 1 თებერვალს, ვენესუელელმა ოფიციალურმა პირმა გამოცემა „როიტერს“ განუცხადა, რომ კარაკასი გეგმავს გაერთიანებული არაბული საემიროებისთვის 29 ტონა ოქროს მიყიდვას ევროს სანაცვლოდ. მან აღნიშნა, რომ კარაკასმა სამი ტონა ოქროს ტრანსფერი 26 იანვარს დაიწყო. თუმცა მისი თქმით, ამ პროცესში რუსეთი არ მონაწილეობს.

შარშან დიდძალი ღირებულების გაუწმენდავი ოქრო კარაკასმა თურქეთს გადასცა, მას შემდეგ რაც ნიკოლას მადურომ ოქროს სერტიფიცირების და გაწმენდის ოპერაცია ანკარას მიანდო შვეიცარიის სანაცვლოდ, იმ მოტივით, რომ შესაძლოა ოქროზე წვდომა შეზღუდვოდა.

29 იანვარს, მეორე რუსული თვითმფრინავის კარაკასში ჩასვლამ ეჭვები გააღრმავა. ბოინგი 777 რუსულ კომპანიას „ნორდუინდს“ ეკუთვნის. ის მოსკოვის ვნუკოვოს აეროპორტიდან ორშაბათს კარაკასში გაფრინდა, ავიარეისების ბაზის მონაცემებით, ჩვეულებრივ, „ნორდუინდი“ ფრენებს რუსული ტურისტებისთვის ხმელთაშუაზღვის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიმართულებით ასრულებს.

„ნოდუინდის“ კარაკასში დაჯდომას სოციალურ მედიაში ბევრი თეორია მოჰყვა იმაზე, თუ რა მიზნით იმყოფებოდა თვითმფრინავი ვენესუელის დედაქალაქში. მადუროს მოწინააღმდეგე კანონმდებლებმა განაცხადეს, რომ მასზე რუსი დაქირავებული ჯარისკაცები იმყოფებოდნენ სოციალისტი ლიდერის დასახმარებლად. ერთი თეორიის მიხედვით, მათი მიზანი დემონსტრანტებს შორის შეტაკებების გამოწვევა იყო.

ვენესუელელმა კანონმდებელმა ხოსე გუერამ, რომელიც ვენესუელის ცენტრალურ ბანკში ეკონომისტად მუშაობდა, განაცხადა, რომ ავიარეისის მიზანი ვენესუელიდან 20 ტონა ოქროს გატანა იყო. „ჩვენ მოვითხოვთ, რომ ვენესუელის ცენტრალურმა ბანკმა განმარტოს, თუ რა ხდება“, — განაცხადა მან სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“.

რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერმა დმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ ცნობები ვენესუელური ოქროს ტრანსპორტირების თაობაზე არასწორია და მოუწოდა ჟურნალისტებს „ცრუ ახალი ამბები“ არ გაავრცელონ.

მან გუერას განცხადება უარყო და აღნიშნა, რომ „რუსეთი მზადაა, ვენესუელაში პოლიტიკური სიტუაციის გადაწყვეტაზე იმუშაოს“.

„რუსეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება მესამე ქვეყნის მიერ ვენესუელის შიდა საქმეებში ნებისმიერ ჩარევას“, — განაცხადა პესკოვმა რუსული სამთავრობო გამოცემის „TASS“-ის მონაცემებით.

მადუროს მეგობრები

მოსკოვისა და პეკინისთვის, ოპოზიციის ლიდერს ხუან გუაიდოსა და სოციალისტ ლიდერ ნიკოლას მადუროს შორის პოლიტიკური დაპირისპირება თავის ტკივილად გადაიქცა. გუაიდომ თავი ვენესუელის კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტად გამოაცხადა და მოუწოდა მადუროს, სახალხო პროტესტს დაემორჩილოს.

რუსეთმა და ჩინეთმა მადუროს მილიარდობით დოლარი ასესხეს. გამოცემა “„ბლუმბერგის“ ინფორმაციით, რუსეთის ნავთობ გიგანტი „როსნეფტი“ვენესუელაში ხუთ სხვადასხვა ნავთობ პროექტშია ჩართული და მადუროს მთავრობაზე მან 7 მილიარდის სესხი გასცა, რომელიც კარაკასმა ნავთობის მიწოდებით უნდა დაფაროს.

„ინგლისის ბანკმა“ ამ კვირაში ვენესუელას ერთი მილიარდი დოლარის ღირებულების ოქროს დაბრუნების მოთხოვნაზე უარი განუცხადა. უარი შეერთებული შტატების მოწოდებას მოჰყვა. ვაშინგტონმა დასავლეთის მთავრობებს სთხოვა, დაბლოკონ მადუროს მთავრობის აქტივები საზღვარგარეთ.

გერმანიაში უცხოელი, მათ შორის, ქართველი პატიმრების რაოდენობამ, სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია

გერმანიის ციხეებში უცხოელი პატიმრების, მათ შორის ქართველების რაოდენობამ სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია, — იუწყება გერმანული გაზეთი „რაინიშე პოსტი“.

გაზეთის ცნობით, **ბერლინსა და ჰამბურგში 50%-ს გადააჭარბა პატიმრებს შორის უცხოელთა წილმა. საქსონიის მონაცემებით, 2016 წლის მარტში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იმყოფებოდა 482 უცხოელი, ორი წლის შემდეგ — 601, ხოლო ამჟამად — 981. აღმოსავლეთ გერმანიის ამ მხარის ციხეებში უცხოელთა ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფებს შეადგენენ პოლონელი, ტუნისელი, ლიბიელი, ჩეხი და ქართველი პატიმრები.**

მთელი გერმანიის მასშტაბით საერთო მაჩვენებლის შეჯამება ვერ მოხერხდა მონაცემთა დადგენის თარიღებსა და მეთოდებს შორის განსხვავების გამო, მაგრამ ფედერაციის ყველა მხარიდან იუწყებიან ბოლო სამ-ხუთ წელიწადში უცხოელი პატიმრების ოდენობის ზრდის, ზოგ შემთხვევაში — მკვეთრად ზრდის შესახებ.

ქართველები მოხსენიებულნი არიან ბადენ-ვიურტენბერგის მხარის შემთხვევაშიც. „რაინიშე პოსტის“ ინფორმაციით, პატიმართა ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფებს შორის არიან თურქეთის, გამბიის, რუმინეთის, ალჟირის, იტალიის, საქართველოს, პოლონეთის, კოსოვოს, სირიისა და ალბანეთის მოქალაქეები.

გერმანიაში საქართველოს ელჩის ელგუჯა ხოკრიშვილის განცხადებით კი „გერმანიაში ქართველების მიერ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა ამ ქვეყანაში უცხოელთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა საერთო რაოდენობის 1%-საც არ შეადგენს“.

„იმდენად დაბალია გერმანიაში საქართველოს მოქალაქეთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა, შეიძლება ითქვას, ის არცკი ჩანს უცხოელთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა საერთო რაოდენობაში. ის 1%-საც კი არ აღწევს. ვერანაირ საგანგაშო ვითარებაზე ვერ ვილაპარაკებ“, — ამბობს ელგუჯა ხოკრიშვილი რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას.

პოლონეთში საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს

45 წლის მამაკაცს ჭრილობა ზურგის არეში აქვს მიყენებული. ვარშავის ერთ-ერთ საავადმყოფოსთან უცნობმა პირებმა დატოვეს და ადგილიდან მანქანით მიიმალნენ.

ქართველია ასევე სავარაუდო მკვლელიც. გავრცელებული ცნობით, მომხდარს წინ სიტყვიერი დაპირისპირება უძღოდა, ეჭვმიტანილი დაღუპულს ღამით მიეპარა და ის მძინარე მოკლა. მომხდარის საქმის კურსშია პოლონეთში საქართველოს საკონსულო.

ათენში ქართველი ემიგრანტები გარდაიცვალნენ

საბერძნეთის დედაქალაქ ათენში საქართველოს ორი მოქალაქე გარდაიცვალა. როგორც DIASPORA.GE იუწყება, 60 წლის ციცო გორელაშვილის გარდაცვალების მიზეზი სიმსივნის დიაგნოზი გახდა, 58 წლის მარინა ტიკარაძის გარდაცვალების მიზეზი კი ვირუსული ინფექცია.

„გარდაცვლილების ახლობლებმა აღნიშნული სამწუხარო ფაქტების და ცხედრების სამშობლოში გადასვენების დახმარების თხოვნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უკვე შეატყობინეს“, — იუწყება DIASPORA.GE

რუსეთი სრულმასშტაბიანი ომისთვის ემზადება

რუსეთი სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებებისთვის ემზადება, ამის შესახებ საუბარია შვედეთის თავდაცვითი კვლევების სააგენტოს ანგარიშში, აღნიშნული სააგენტო ქვეყნის თავდაცვის უწყებას ექვემდებარება. უწყების ინფორმაციით, ბოლო ათ წელწადში, რუსეთში ჩატარებული წვრთნები უფრო მასშტაბური გახდა. ანგარიშის ავტორებმა ღია წყაროები გამოიყენეს, მთავარი კი რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მონაცემები იყო. 2009-2018 წლებში რუსეთმა გაზარდა სტრატეგიული სწავლებების მასშტაბი. ანგარიში ეფუძნება რუსეთის სამხედრო წვრთნების მონაცემებს ბოლო წლების განმავლობაში. 2017 წელს დაახლოებით 10 ათასი სამხედრო მონაწილეობდა დასავლეთ რუსეთში ჩატარებულ წვრთნებში, ხოლო 2018 წელს აღმოსავლეთ ნაწილში ჩატარებულ წვრთნებში „ვოსტოკ 2018“ მონაწილეობა 300 ათასმა ჯარისკაცმა მიიღო.

როგორც მოხსენებაშია ნათქვამი ეს შესაძლოა, იყოს მზადება ხანგრძლივი კონფლიქტისთვის ჩინეთთან ან NATO-სთან. მოხსენების ავტორებმა ყურადღება გაამახვილეს სამხედრო წვრთნებისას სამხედროების ქმედებებზეც. იანვრის ბოლოს „ლევადა ცენტრის“ მიერ გამოქვეყნებული კვლევის თანახმად გამოკითხული რუსეთის მოქალაქეების 88% თვლის, რომ რუსეთს შეუძლია გარე თავდასხმის მოგერიება.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲜᲒᲠᲔᲕᲐ ᲐᲖᲐᲠᲘᲐᲜᲪᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ?!

„ᲡᲘᲚᲥ ᲠᲝᲣᲓ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ“ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, რუსთაველის 37-ში მდებარე ისტორიული შენობა, რომელიც ცნობილია როგორც ალექსანდრე მელიქ-აზარიანცის სახლი, დანგრევის პირასაა. ერთ ადგილას უკვე ჩამოიშალა სკულპტურული კომპოზიცია. მალე სხვებიც მიჰყვება, რადგან ყველა მათგანი დაბზარულია. ეს თბილისისთვის დიდი უბედურება იქნება, — წერს სოციალურ ქსელში ფოტორეპორტიორი **გოგა ჩანადირი.**

კომერსანტი შეეცადა გაერკვია, ვის ეკუთვნის და ვინ არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ ისტორიული ნაგებობა, რომელიც მე-20 საუკუნეში საქართველოში პირველი ბიზნესცენტრი გახდა, 21-ე საუკუნეში დანგრევის პირასაა.

როგორც თბილისის მერიაში განაცხადეს, აზარიანცის სახლი „სილქ როუდ ჯგუფში“ საკუთრებაშია და რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელიც კერძო კომპანიაა.

როგორც კომერსანტმა გაარკვია შენობის დაახლოებით 70% „სილქ როუდ ჯგუფმა“ 2007 წელს შეიძინა და საინვესტიციო კომპანიამ შენობაში მაცხოვრებლების ბინების გამოსყიდვაც ამავე წლიდან ეტაპობრივად დაიწყო.

„სილქ როუდ ჯგუფის“ ინფორმაციით, გამოსყიდვაში გადახდილმა თანხამ დაახლოებით 15 მილიონი დოლარი შეადგინა, თუმცა რამდენიმე ფართის მფლობელთ შენობა ჯერ არ დაუტოვებიათ და რეკონსტრუქციას ხელს სწორედ ეს ფაქტი უშლის.

„გარკვეული ფართები, რომელიც კომპანიას ეკუთვნის, ჯერაც არ არის ფიზიკურად გამოთავისუფლებული და დაკავებულია, მაგალითად, პანტომიმის თეატრის მიერ. ამას გარდა, შენობაში არის ფართები, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაშია და ასევე ფართები, რომელსაც სხვა კერძო პირები ფლობენ. საერთო ჯამში, შექმნილი ვითარება ართულებს ინვესტორების მოზიდვის პროცესს შენობაში საინვესტიციო პროექტის განსახორციელებლად, რადგანაც ეს ერთიანი პროექტი უნდა იყოს“, — აცხადებენ „სილქ როუდ ჯგუფში“. **„თბილისის მერიაში შეტანილია შენობაზე განთავსებული ბარელიეფების რეაბილიტაცია-რესტავრაციის პროექტი და ველოდებით ნებართვას. თუმცა, ეს მხოლოდ ფასადის აღდგენით სამუშაოებს ეხება და არ ნიშნავს შენობის სრულ რეაბილიტაციას. შენობის მასშტაბური რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს სარდაფების გაწმენდას, ნაგვის გატანას, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობას და საძირკვლის გამაგრებას, საჭიროებს ყველა მესაკუთრის და ასევე სახელმწიფოს ფინანსურ ჩართულობას. ამასთან, აუცილებელია, რომ ამ პროცესში ჩართული იყოს სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ და თბილისის მერია“, —** განმარტავენ „სილქ როუდ ჯგუფში“.

როგორც კომერსანტმა გაარკვია, შენობა შეტანილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა ნუსხაში, რაც, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ჩარევის მკაფიოდ განსაზღვრულ ფორმას გულისხმობს.

„შენობის მაღალმხატვრული ღირებულების გამო მისი რეაბილიტაცია ფაქიზ, მეთოდოლოგიურად გააზრებულ და გამართულ სარესტავრაციო პოლიტიკას მოითხოვს. გამომდინარე იქიდან, რომ შენობა საკმაოდ მასშტაბურია და ამავდროულად მასში სინთეზურად არის გაერთიანებული არქიტექტურის და ქანდაკების საკმაოდ რთული კომბინაცია, ის საჭიროებს ჩარევის ზუსტი ფორმის გააზრებას, რაც მისი ავთენტურობის შენარჩუნებისკენ იქნება მიმართული. ეს ნიშნავს, რომ სარესტავრაციო მეთოდოლოგიის განსაზღვრა უნდა დაეფუძნოს რთულ, მრავალდისციპლინარულ კვლევებს“, — განუცხადეს კომერსანტს „სილქ როუდ ჯგუფში“ .

ᲐᲖᲐᲠᲘᲐᲜᲪᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲡᲝᲛᲔᲮᲛᲐ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲛ 1912 ᲬᲔᲚᲡ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲔᲚ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲝᲑᲝᲚᲝᲜᲡᲙᲘᲡ ᲓᲐᲣᲙᲕᲔᲗᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ 3 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ, 1915 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ.

ამ ცნობილ არქიტექტორს თბილისში სხვა შენობა აღარ აუგია. თუმცა, მისთვისაც ძალიან დიდი გასამრჯელო აუღია.

შენობა, პრაქტიკულად, თბილისის პირველი ბიზნესცენტრი გახდა. აქ იყო თეატრი, მაღაზიები, აფთიაქი, დაწესებულებები, მცირე სასტუმრო და სხვა. ასევე, ის იყო პირველი ნაგებობა, რომელსაც დამოუკიდებელი გაყვანილობები (წყალსადენი, ელექტროობა) და იმ დროინდელ თბილისში ყველაზე დიდი მიწისქვეშა სადგომი ჰქონდა.

რაც შეეხება შენობის მორთულობას, ჩეხმა ნოვაკმა შეასრულა და იმთავითვე ქალაქის გამორჩეული ნაგებობის სახელი მოიპოვა.

ამ შენობას არაერთი ლეგენდა, მითქმა-მოთქმა და თავგადასავალი უკავშირდება.

ერთი გადმოცემა იმასაც ამბობს, რომ მელიქ-აზარიანცი საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ მიწისქვეშა საიდუმლო გვირაბში დაიმალა, კარი ჩაეკეტა და ჩარჩა. ამიტომ, ამას მიაწერენ ამბავს, რომ სარდაფში თითქოსდა, ერთ ადგილას კაკუნის ხმა ისმის. ზოგიერთი წყარო ამბობს, რომ მეწარმეს საბჭოთა რეჟიმმა სახლი და ქონება ჩამოართვა. ის იმავე სახლის 1 პატარა ოთახში დატოვეს და 1923 წელს სიღარიბეში გარდაიცვალა.

100 წელიწადში ამ შენობის სამჯერ დანგრევა სცადეს და ყოველთვის გადარჩა. ახლა კი, ის უყურადღებობით ინგრევა. თბილისს ერთ-ერთი ლამაზი და ისტორიული სახლი ხელიდან ეცლება და ამის დაშვება ყოვლად გაუმართლებელია, — წერს გოგა ჩანადირი.

ᲑᲐᲩᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐ.

ᲒᲝᲒᲐ ᲩᲐᲜᲐᲓᲘᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

◎ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘ

ᲠᲐ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲐᲣᲜᲓᲔᲠᲘ?

ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ წინათ, მასმედიასა და სოციალურ ქსელებში გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური კვლევების ეროვნულ სააგენტოს (NASA) გაუვრცელებია ინფორმაცია, რომ დედამიწას მცირე გამყინვარების საფრთხე ემუქრება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მზის აქტივობა მკვეთრად შემცირდა, რის შედეგად კაცობრიობას არნახულად ცივი ზამთრები ელის.

არადა, ახლო წარსულში კაცობრიობას მცირე გამყინვარება უკვე გამოვლილი აქვს: 1645-1715 წლებში ევროპაში ჩრდილოეთის ზღვები და მდინარეები ერთიანად გაიყინა, რაზეც მრავალი დოკუმენტური ცნობა არსებობს. ის გამყინვარება ზუსტად დაემთხვა ეგრეთ წოდებულ **მაუნდერის მინიმუმს — მეცნიერების მიერ ჯერაც აუხსნელ მოვლენას — მზეზე ლაქების მკვეთრ შემცირებას, რასაც მის მიერ ენერგიის გამოფრქვევის საგრძნობი კლება მოსდევს.** გამოთვლებით, ჩვენს მნათობზე მაშინ, ჩვეული 40-50 ათასის მაგივრად მხოლოდ 50 ლაქაღა იყო დარჩენილი. ამჟამად მზე კვლავ ამცირებს თავის აქტივობას — რამდენიმე წელია, მასზე ლაქები პერიოდულად სრულად ქრება. ამის მიზეზი კვლავაც გაურკვეველია, მხოლოდ ისაა ცხადი, რომ, როგორც ჩანს, ახალი მაუნდერი დგება.

თუმცა, ახლა მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, კაცობრიობას წინ გლობალური გამყინვარება ელის. ყინულის კერნის **(სხვადასხვა სიღრმიდან აღებული ყინულის ნიმუშების — Ო.ტ.)** შესწავლამ გვაჩვენა, რომ დედამიწაზე საყოველთაო დათბობისა და გამყინვარების პერიოდები ერთმანეთს კანონზომიერად, ადამიანის ყოველგვარი ჩარევის გარეშე ენაცვლებოდა. ბოლო 450 წლის მანძილზე ასეთი ექვსი კლიმატური ციკლი იყო. ამჟამად კი ჩვენ გამყინვარებათაშორისი პერიოდის მიწურულს ვართ და დიდი აცივების ხანაში შევდივართ. ამის თვალნათლივი დადასტურებაა მკვეთრი კლიმატური ცვლილებები — ძირეულად შეიცვალა საჰაერო ნაკადების მიმართულებები, ქარიშხლები და ციკლონები ერთმანეთს მიჯრით მიყვებიან, ძალზე გახშირდა ამინდის კატაკლიზმები.

თუმცა კი, ჩვენდა საბედნიეროდ, გლობალური გამყინვარება მყისიერად არ მოხდება, მას ათასობით წელი დასჭირდება და აცივებას პირველად ჩრდილოეთ ამერიკაში იგრძნობენ, რის გარკვეული ნიშნებიც უკვე ადვილი შესამჩნევია. ერთ-ერთი ასეთია აშშ-სა და კანადის ტერიტორიებზე წმ. ლავრენტის სახელობის მყინვარის აღორძინება. ბოლო მილიონი წლის განმავლობაში მან ოთხჯერ ამოიწია და ორივე ქვეყნის ტერიტორიების დიდი ნაწილი 3 კილომეტრის სიმძლავრის ყინულით დაფარა(!), თუმცა კი შემდეგ გააქტიურებული მზე მას ისევ ადნობდა. უკანასკნელად ის 11 ათასი წლის წინათ დადნა. მეცნიერთა აზრით, დედამიწაზე გამყინვარების პერიოდები სწორედ მისი წარმოშობით იწყება. ამასთანავე, გამყინვარების დასაწყისის კიდევ ერთი ნიშანი ისაა, რომ თანდათანობით სუსტდება თბილი საოკეანო დინება გოლფსტრიმი, რომელსაც „ატლანტიკის ღუმელს“ უწოდებენ. იზრდება არქტიკის ყინულებიც და ეს პროცესი თანდათანობით ძლიერდება.

მკვლევართა გარკვეული ნაწილი მაინც მიიჩნევს, რომ ლაპარაკი საყოველთაო გამყინვარების შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება — პირიქით, კაცობრიობა საყოველთაო დათმობისთვის უნდა ემზადებოდეს. ამის შესახებ საუბარი მომდევნო წერილში გვექნება.

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

გეგა გეგეშიძე: საქართველოს არ ჰყავს დასაკარგი სპორტსმენები

(პირველი გვერდიდან)

რადიო თავისუფლება: რა მოხდა თქვენსა და ზურაბ დათუნაშვილს შორის?

გეგა გეგეშიძე: მინდა თავიდანვე განვაცხადო, რომ ზურაბ დათუნაშვილის მიმართ აგრესიის არანაირი საბაბი არ არსებობდა. 2017 წელს, როდესაც დათუნაშვილი მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი, ფედერაციის პრეზიდენტი ვიყავი და მეც და სხვებსაც ზურას პორტრეტით დამშვენებული მაისურები გვეცვა. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ თბილისში ზურა ერთ-ერთ ღამის კლუბთან დაჭრეს. მაშინვე მივედი საავადმყოფოში. ვუთხარი, რომ რითაც შემეძლო, ყველაფრით დავეხმარებოდი. პრობლემები ჰქონდა — მარტო ის არ იყო დაზარალებული.

— რას გულისხმობთ?

— აჯობებს ამაზე თავად ზურას ჰკითხოთ. მე არ მსურს ამ თემაზე უფრო დეტალურად საუბარი. დაიწყო დათუნაშვილმა მკურნალობა და ნელ-ნელა ვარჯიშიც განაახლა, მაგრამ, სამწუხაროდ, კონდიციების სწრაფად აღდგენა გაუჭირდა. მონაწილეობა ვერ მიიღო თბილისის საერთაშორისო ტურნირში — ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას მემორიალში. სწორედ ამ ტურნირის შედეგებით უნდა დაეკომპლექტებინათ მწვრთნელებს საქართველოს ნაკრების შემადგენლობა, რომელიც რამდენიმე თვეში მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონატში მიიღებდა მონაწილეობას. გამოჩნდა, რომ შეიძლებოდა დამღუპველი ყოფილიყო ევროპის ჩემპიონისთვის ნაკრებში ადგილის დაკარგვა. გაუჭირდა ამასთან შეგუება და იყო რისკი, კარიერაც დაესრულებინა. ამიტომ მწვრთნელებმა და ფედერაციის ხელმძღვანელობამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მივიღეთ: სპორტსმენს, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ეჭიდავა, ვთხოვეთ შესულიყო თანაგუნდელისა და მეგობრის მდგომარეობაში, რადგან ეს საჭირო იყო არა მარტო ზურასთვის, არამედ მთლიანად ქართული ჭიდაობისთვის.

— დათუნაშვილმა პარიზში არცთუ ცუდად იჭიდავა — საპრიზო სამეულამდე ერთი მოგება დააკლდა.

— მთავარი იყო, რომ ამით მან გუნდისგან დიდი მხარდაჭერა დაინახა. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ საქართველოს ჩემპიონი გახდა, ისევ გალიდერდა შიდა კონკურენციაში და 2018 წელს ევროპის ჩემპიონატზე უკვე დამსახურებულად გაემგზავრა. დამარცხდა და მიზეზად მსაჯები დაასახელა, ბოლო წამებზე წამმზომი გამიჩერესო. შემდეგ ვერც ბალავაძე-კარტოზიას ტურნირზე გახდა ჩემპიონი და მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის წინ ნაკრებში მოხვედრის პრეტენდენტი მისი სხვა თანაგუნდელი გახდა, რომელიც ბალავაძე-კარტოზიას ტურნირზე მასზე უკეთესად გამოვიდა.

— ამ წარუმატებლობას მოჰყვა მისი პირველი უთანხმოება ნაკრების სამწვრთნელო შტაბთან. დათუნაშვილი ამბობს, რომ შარშან ზაფხულში საწვრთნელი შეკრება უსამართლობისა და მწვრთნელებთან უთანხმოების გამო დატოვა.

— შეკრებაზე ზურამ მწვრთნელებისგან მოითხოვა, რომ მისთვის დამატებითი შანსი მაინც მიეცათ, როგორც ევროპის ორგზის ჩემპიონისთვის. მწვრთნელებმაც უთხრეს, რომ შანსი მართლაც მიეცემოდა თურქეთისა და გერმანიის საერთაშორისო ტურნირებზე. უცებ გაირკვა, რომ ის შანსს არა თავის წონაში, არამედ ერთი წონითი კატეგორიით დაბლა ითხოვდა, ამაზე კი მწვრთნელებისგან უარი მიიღო. დათუნაშვილი განაწყენდა და შეკრება მიატოვა, ჟურნალისტებს კი უთხრა, რომ იჩაგრებოდა.

— თქვენ თუ ჩაერიეთ მაშინდელ კონფლიქტში?

— შეკრებიდან დაბრუნებული დათუნაშვილი ფედერაციაში მოვიდა თავის ძმასთან ერთად, ვიჩაგრები და საზღვარგარეთ წასვლა მინდაო. რომ მიხვდნენ, რომ უარზე ვიყავი, ძმამ მითხრა, მოდი, ძმაკაცურად მოუწერე ხელი წასვლაზეო. როგორც ვიცი, შეთავაზებაც ჰქონდა, ოღონდ არ ვიცი, რომელი ქვეყნიდან. მინდა ამ დეტალს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ. 2018 წლის ზაფხული იყო, როდესაც ზურაბ დათუნაშვილი უცხოეთში წასვლის სურვილით მომადგა, - ახლა რომ იმავე სახის ულტიმატუმს აყენებს, თუკი მე არ გადავდგები.

— ახლა აღარაა საჭირო ფედერაციის პრეზიდენტის ხელმოწერა?

— საქმე იმაშია, რომ თუ წასვლაზე ხელს მოვუწერდი, უცხოეთის რომელიმე ქვეყნის სახელით ჭიდაობას სწრაფადვე შეძლებდა, ჩემი ხელმოწერის გარეშე კი ორი წლის შემდეგ მიეცემოდა ამის უფლება. ვუთხარი, რომ მე წინააღმდეგი ვიყავი და ვურჩიე, სპორტის სამინისტროსა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებს, ასევე ვეტერან სპორტსმენებს დალაპარაკებოდა. როგორც ვიცი, შეხვდა რომან რურუას, თამაზ მაჭავარიანს, ბაკურ გოგიტიძეს, ედიშერ მაჩაიძეს და სხვებს და ყველასგან უარი მიიღო. სხვა გამოსავალი რომ აღარ ჰქონდა, გააგრძელა ვარჯიში, ოღონდ თავის დარბაზში. ერთმანეთს აღარ შევხმიანებივართ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რაიმე კონფლიქტი გვქონდა. გავიდა დრო და დათუნაშვილის მწვრთნელი ვილი ხარაზოვი შეგვეხმიანა, ზურას საქართველოს ჩემპიონატზე ჭიდაობა უნდა და პრობლემა ხომ არ იქნებაო? რა თქმა უნდა, არამეთქი. ასე მივედით შეჯიბრებამდე, რომელზეც როგორც მოიქცა, ყველამ კარგად იცის.

— იმის თქმა გინდათ, რომ წინასწარ გეგმავდა სიტუაციის დაძაბვას?

— ასე არ ვფიქრობ, მაგრამ როდესაც შეატყო, რომ ჩემპიონი ვერ ხდებოდა, უსუსური ბრალდებით შეუტია მსაჯს. სპორტსმენს რომ შეხვედრის ბოლო ნახევარ წუთში არ აფრთხილებენ, თუკი ის აშკარად არ გაურბის მეტოქეს, ეს ჭიდაობაში დაუწერელი კანონივითაა და ეს ზურაბ დათუნაშვილმაც მშვენივრად იცის. არადა, სწორედ ამ მიზეზით მიიჭრა მსაჯთან, ქულას რატომ არ მაძლევო. მაგიდაზე დაუფურთხა უმაღლესი კატეგორიის მსაჯს, რომელიც უცხოეთიდან გვყავდა მოწვეული სწორედ იმისთვის, რომ მინიმუმამდე შეგვემცირებინა უსამართლო გადაწყვეტილებები. დიდი შანსია, იმ მსაჯმა ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი მოჭიდავეების შეხვედრა განსაჯოს და დათუნაშვილის საქციელის გამო ზუსტად იქ მიიღოს ჩვენთვის უსიამოვნო გადაწყვეტილებები.

— თქვენ ამტკიცებთ, რომ დათუნაშვილთან თქვენი დაპირისპირების მიზეზი ეს გახდა?

— მე იმ დროს ტრიბუნაზე ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ აყენებდნენ მსაჯებსა და ფედერაციის წარმომადგენლებს სიტყვიერ შეურაცხყოფას სპორტსმენი და მისი ძმა, რომელიც ფინალისას მისი სეკუნდანტი იყო. არენაზე მოგვიანებით ჩავედი. იქამდე დათუნაშვილებთან ნაკრების მწვრთნელები მივიდნენ —ბექა როყვა და ლადო გეგეშიძე ყველასათვის გასაგონად ეუბნებოდნენ დათუნაშვილს, რომ ის შეხვედრა ნაკრების დასაკომპლექტებლად არაფერს წყვეტდა და ორივე ფინალისტს საერთაშორისო ტურნირებზე მიეცემოდა თავისი უპირატესობის დამტკიცების შანსი. ძმებმა ხალიჩა დატოვეს და სიტუაციაც თითქოს ჩაწყნარდა, მაგრამ ზურას ძმა თბილისის ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გოჩა ჩორგოლიანმა წაათასზე იჩხუბა რუს მეტოქესთან და მოხსნეს ტურნირიდან. ამას მივამატოთ დარბაზს მიღმა მომხდარი ინციდენტი და თუნდაც 11 იანვრის ფაქტი და დასკვნაც ყველაფრის გათვალისწინებით გამოვიტანოთ. ოღონდ ისიც გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევებიდან დაახლოებით ნახევრის დროს მე ფედერაციაში არ ვმუშაობდი.

— ახლა რომ იმ მომენტში დაგაბრუნათ, სხვანაირად მოიქცეოდით?

— მაშინაც ვფიქრობდი, როდესაც ტრიბუნიდან დარბაზში ჩავედი, რომ მხოლოდ გამშველებელი უნდა ვყოფილიყავი. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ... როდესაც შეურაცხყოფას გაყენებენ, ძალიან ძნელია იმ მომენტში თავის შეკავება. ასე არ უნდა მოვქცეულიყავი და მართლა ვნანობ, მაგრამ არავინ იცის, იმ დროს თვითონ რას გააკეთებდა. ბოდიშს ვუხდი გულშემატკივრებს.

— ვიდეოჩანაწერში ჩანს საგანი, რომელიც სავარაუდოდ დათუნაშვილს თავში ჩაარტყით. დღემდე ვრცელდება სხვადასხვა მოსაზრება, თუ რა უნდა ყოფილიყო ეს საგანი. შეიძლება, რომ გვითხრათ, რა გეჭირათ მაშინ ხელში?

— დათუნაშვილი თავიდან იძახდა, გეგეშიძემ თავში რკინის მილი ჩამარტყაო, შემდეგ — ბლაგვი საგანიო. გოჩა ჩორგოლიანმა ჯაჭვი დაინახა, შელიამ — ხელკეტი. ბოლოს, მგონი, ყველა კრიალოსანზე შეთანხმდა. ის ნივთი პოლიციას აქვს ამოღებული და ეს არის ჩვეულებრივი საეკლესიო ფსკვნილი, ალბათ — რამდენიმეგრამიანი. გარწმუნებთ, ჩემი ხელის მოქნევის შემდეგ ზურას არ ჰქონია დაზიანებები. ჩხუბი კიდევ გააგრძელა და დასისხლიანებული დათუნაშვილის ფოტოც გაცილებით გვიანაა გადაღებული.

— თქვენმა ადვოკატმა განაცხადა, რომ ჩხუბის შედეგად თქვენც დაზარალდით. რას გულისხმობდა?

— ტუჩი გამისკდა და ხუთი ნაკერი დამჭირდა. არ ვიცი, ვინ დამარტყა. იმდენად ანერვიულებული და გათიშული ვიყავი, თითქმის არაფერი მახსოვდა და რაღაც ეპიზოდები კადრების ნახვის შემდეგ აღვიდგინე.

— ზურაბ დათუნაშვილმა განაცხადა, რომ თქვენ მას შერიგების მიზნით მამაო მიუგზავნეთ, რომელიც მას გარკვეულ პრივილეგიებსაც დაჰპირდა...

— სასულიერო პირი, რომელიც ზურასთან მართლაც იყო მისული, ჩემთანაც მოვიდა და მითხრა, რომ უნდა შევრიგებულიყავით. მაშინ გავიგე, რომ ზურასთანაც იყო ნამყოფი. იმის თქმა, რომ თურმე სასულიერო პირი ჩემი დავალებით მოქმედებდა, ძალიან დიდი ცილისწამებაა.

— ვინ არის ის სასულიერო პირი?

— ის ლამის მთელი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების სულიერი მამაა. დათუნაშვილი გაცილებით ადრე იცნობდა მას, ვიდრე მე გავიცნობდი. ბიჭებს უყვართ და უდიდეს პატივს სცემენ. ტურნირებზეც კი ჩადის ხოლმე მათ გასამხნევებლად.

— თქვენ ძალადობაში გოჩა ჩორგოლიანმაც დაგადანაშაულათ, რომელიც შარშან ასევე დარბაზში სცემეს. თბილისის ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანიც იგივეს ამბობს.

— ეს არის სიცრუე და ჩორგოლიანის ბინძური ფანტაზია. იმ დღეს, რომელზეც ამბობდა, მცემესო, მე დარბაზშიც კი არ ვყოფილვარ. გოჩა ჩორგოლიანის შესახებ უკვე მოგახსენეთ, სწორედ ეს ადამიანი იყო 11 იანვარს მომხდარი ჩხუბის ერთ-ერთი მაპროვოცირებელი. ოღონდ იმიტომ კი არა, რომ მართლა დათუნაშვილზე შესტკიოდა გული. სულ სხვა მიზეზი აქვს. ძალიან ცუდ საქმეზე გამოვიჭირეთ და პროვოკაციების გარდა სხვა აღარაფერი დარჩენია. რამდენიმე თვის წინათ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციიდან მსოფლიო ჭიდაობის გაერთიანებაში გავაგზავნეთ წერილი, რომ სამწვრთნელო კურსებში საქართველოს სახელით დავით ოთიაშვილს მიეღო მონაწილეობა. რამდენიმე დღეში მივიღეთ საპასუხო წერილი, რომ მხოლოდ ერთი ადგილი გვქონდა და ბოლოს და ბოლოს გადაგვეწყვიტა, ოთიაშვილი გვსურდა თუ გიორგი გოგშელიძე. გაგვიკვირდა. გოგშელიძის კანდიდატურა მათთვის ნამდვილად არ მიგვიწოდებია. მაშინ ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანებამ გამოგვიგზავნა ის საბუთი, რომლითაც გოგშელიძის ჩასმას მოვითხოვდით. გაირკვა, რომ მათთვის მიუმართავს თბილისის ჭიდაობის ფედერაციას, ოღონდ ამისთვის საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის სახელი გამოიყენეს. დოკუმენტის ბოლოს ეწერა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, ხელს კი გოჩა ჩორგოლიანი აწერდა. საკონტაქტო მისამართადაც სწორედ მისი იმეილია მითითებული. მგონი, ხვდებით, რომ საქმე გვაქვს თაღლითობასთან და ეს პირველი დარღვევა ნამდვილად არაა, რომელზეც ჩორგოლიანი გამოვიჭირეთ. მასზე ფინანსებთან დაკავშირებული საჩივრებით პატარა მოჭიდავეების მშობლებიც ხშირად მოგვმართავდნენ.

— თქვენ მნიშვნელოვან ბრალ-

დებებს უყენებთ და შესაბამისად ჩნდება კითხვა — რა ზომები მიიღეთ?

— შევკრიბე ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრები, ჩატარდა სხდომა და ეს საბუთი ყველას ვაჩვენე. წესდების თანახმად, მაქვს უფლება პირადად მივიღო გადაწყვეტილება და ჩორგოლიანი სახლში გავუშვა, მაგრამ გადავწყვიტე ეს საქმე პრეზიდიუმისთვის მიმენდო. სწორედ პრეზიდიუმის წევრებს უნდა ემსჯელათ მორიგ სხდომაზე ჩორგოლიანის საკითხზე. ეს, რა თქმა უნდა, გაიგო ბატონმა გოჩამ და უკვე ერთი თვეა, ყველაფერს აკეთებს, ოღონდ კი რამე დამაბრალოს.

— ფარული ჩანაწერი, რომელშიც გამოჩნდა, რომ თქვენ ხელს ურტყამთ ზურაბ დათუნაშვილს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა მოიპოვა, ხოლო რამდენიმე დღეში მან სახლის აივანზე მასრა იპოვა, კარს კი უცნაური დაზიანება ეტყობოდა.

— ამ ორი ფაქტის ერთმანეთთან დაკავშირება იაფფასიანი პროვოკაციაა და მეტი არაფერი. „რუსთავი-2“-ის სპორტული ჟურნალისტი დათო ერაძე არის მამაჩემის, ჩემი ძმის და ჩემი მეგობარი. მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, ამ ტელეკომპანიისადმი ბევრი პრეტენზია მაქვს, ერაძე თავისი საქმის პროფესიონალია, კარგი ჟურნალისტია და სპორტული კუთხით რეგულარულად აშუქებს ჭიდაობის აქტივობებს. იგივეს ვიტყვი „რუსთავი-2“-ის სხვა სპორტულ ჟურნალისტებზე. ძალიან მინდა ეს საქმე სწრაფად გამოიძიონ.

— ზურაბ დათუნაშვილის მოთხოვნა კატეგორიულია. ის ამბობს, რომ თუ არ გადადგებით, ან კარიერას დაასრულებს, ან უცხოეთში წავა. რაიმე სახის გამოსავალს ხედავთ?

— ზურას უცხოეთში წასვლის სურვილზე უკვე მოგახსენეთ. მის კატეგორიულ მოთხოვნას რაც შეეხება, ვერაფრით დავეთანხმები. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ყველაფერი კარგად აწონ-დაწონოს, მიხვდეს, როგორ ურევენ ტვინს და იყენებენ სათავისოდ ბინძური ადამიანები, შემდეგ კი დაბრუნდეს დარბაზში და ივარჯიშოს. გარწმუნებთ, მას აბსოლუტურად არავინ ებრძვის. საქართველოს არ ჰყავს დასაკარგი სპორტსმენები.

— თუმცა, ახლახან ფედერაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თქვა, რომ შეიკრიბება პრეზიდიუმი და, სავარაუდოდ, დათუნაშვილი დისციპლინურ სანქციებს ვერ გადაურჩება.

— პრეზიდიუმი უახლოეს მომავალში აუცილებლად შეიკრიბება, მომხდარ ინციდენტზე იმსჯელებს და, თუ საჭიროდ ჩათვლის, მკაცრ ზომებსაც მიიღებს. მარტო სპორტსმენს არ ვგულისხმობ. პრეზიდიუმი ჩემს საქციელსაც შეაფასებს.

მიხეილ ყაველაშვილი ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს შეხვდა

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ყაველაშვილი გუშინ ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს გეგა (თამაზ) გეგეშიძეს შეხვდა. მხარეებმა ჭიდაობის ფედერაციაში არსებული დაპირისპირების მოგვარების გზებზე იმსჯელეს და კონკრეტული გადაწყვეტილება მიიღეს. მიხეილ ყაველაშვილმა შეხვედრის დასრულების შემდეგ კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში ჭიდაობის ფედერაციის გაფართოებული პრეზიდიუმის სხდომა გაიმართება, რომელზეც მოჭიდავეები და სპორტსმენები ფედერაციაში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით მსჯელობას და დისკუსიას გამართავენ.

„ჭიდაობის ფედერაციამ წლის საუკეთესო ფედერაციის ტიტული მოიპოვა და სხვადასხვა ტურნირებში არაერთი ჩემპიონი და წარმატებული მოჭიდავე გვყავს. ეს ტენდენცია უნდა გაგრძელდეს და მთავარი მოტივია სტაბილურად განვითარდეს როგორც სპორტსმენთა წარმატებები, ასევე ფედერაციის საქმიანობა. რაც შეეხება იმ არასასიამოვნო ინციდენტს, რომელიც საზოგადოებისთვის ცნობილია, დარწმუნებული ვარ, იგი არავის ინტერესში შედიოდა, თუმცა, სამწუხაროა, რომ აღნიშნული ფაქტი მოხდა. როგორც ზურაბ დათუნაშვილთან, ასევე გეგა გეგეშიძესთან აღნიშნულ ინციდენტზე გულწრფელად ვისაუბრეთ. შემომთავაზეს, რომ ჭიდაობის ფედერაცია უახლოეს დღეებში ფართო შემადგენლობით მოიწვევს პრეზიდიუმს და ის ადამიანები, ვინც ქმნიდნენ ჭიდაობის ეპოქას, ვეტერანი სპორტსმენები და მოქმედი მოჭიდავეები იმსჯელებენ ყველა იმ საკითხზე, რაც ფედერაციაშია შექმნილი. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ იმ სფეროში გადაწყდეს და მოგვარდეს პრობლემები და ფედერაციის შიგნით, მსჯელობის და დისკუსიის შედეგად იქნეს მიღებული გადაწყვეტილება. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ მთავარია ის წარმატებები, რომლებიც გვქონდა, კვლავ გაგრძელდეს, არც ერთი მოჭიდავე არ იყოს დაჩაგრული და ყველა სპორტსმენს ჰქონდეს სრულყოფილად მომზადების და ასპარეზობის საშუალება. ეს არის ყველა ჩვენთაგანის საერთო საკეთებელი საქმე“, — განაცხადა მიხეილ ყაველაშვილმა.

კობა კობახიძე

იანვარში ტურისტული ვიზიტების რაოდენობა 6%-ით გაიზარდა

2019 წლის იანვარში საქართველოში ტურისტული ვიზიტების **რაოდენობამ 305,939 შეადგინა, რაც 17,061-ით მეტია 2018 წლის იანვრის მაჩვენებელზე (ზრდა +5.9%).**

ინფორმაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიაწოდა.

იანვარში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებიდან: პოლონეთი +130.5%, ჩეხეთი +96%, ესპანეთი +65.1%, ლატვია +63.5%, გერმანია +46.6%, ლიეტუვა +40.8% და სხვა. განსაკუთრებული ზრდა აღინიშნა შემდეგი ქვეყნებიდან: უზბეკეთი +217.1%, ისრაელი +132.1%, ყირგიზეთი +112%, ჩინეთი +72.8%, საუდის არაბეთი +72.7% და სხვა.

უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ორი ფაქტი გამოვლინდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის **თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებთან კოორდინაციით, გატარებული ღონისძიებების შედეგად მარკირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვის ორი ფაქტი გამოავლინეს.**

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქალაქებში თბილისსა და რუსთავში, დანაშაულში მხილებული პირების სატრანსპორტო საშუალებებიდან ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ განკუთვნილი 2 031 კოლოფი სხვადასხვა დასახელების უაქციზო სიგარეტი და ე.წ. ელექტრო სიგარეტი IQOS-ისთვის განკუთვნილი „HEETS“-ის ფირმის 1 850 კოლოფი უაქციზო თამბაქოს ნაწარმი. ამოღებული უაქციზო საქონლის საერთო საბაზრო ღირებულება 14 000 ლარს აღემატება.

ქართველი ქურდები პოლონეთში

პოლონეთში სამართალდამცავებმა საქართველოს სამი მოქალაქე ქურდობის ბრალდებით დაიკავეს. გამოძიება დაკავებულებს ბინების ძარცვაში ადანაშაულებს.

დამნაშავეები საპატრულო ეკიპაჟმა ავტომობილით გადაადგილებისას გააჩერა, ჩხრეკის შედეგად კი მოპარული ფული და ძვირფასეულობა ამოიღეს.

დაკავებულების ასაკი 29-დან 43 წლამდეა, მათ ასევე ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებაში მონაწილეობა ედებათ ბრალად.

დაკავებულებს 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

სანთელი

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი თანაუგრძნობენ ზოდელავების ოჯახს და კლინიკის ექიმ მეან-გინეკოლოგს, კეთილშობილ ადამიანს, მარინა ზოდელავას მისი ძმის, ღირსეული მამულიშვილის

ვანო ზოდელავას

გარდაცვალების გამო.

ბაჩანა ჩაბრაძე საფრანგეთიდან ღრმა მწუხარებას გამოხატავს ღირსეული პიროვნების

ვანო ზოდელავას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ბორის სარალიძე ოჯახით დიდი გულისტკივილით იუწყება

ვანო ზოდელავას

უდროოდ გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეგობრები და ყოფილი კოლეგები ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, დავით ქანთარია, გია დარჯანია, პეტრე ბერაია, მოგელი ტყეებუჩავა, ჯემალ ინაიშვილი, ზურაბ ნასარაია, ჯემალ გურგენაძე, ჯუკა კუხალეიშვილი, რაულ ჯახია, თორნიკე აფაქიძე, თემურ მურღულია, ოთარ ჭითანავა, ლერი ჭითანავა, ზურაბ ხუნტუა, მამუკა ადამია, ანტული მიქავა, ტარიელ დგებუაძე, დარეჯან კვარაცხელია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ფოთისა და თბილისის ყოფილი მერი

ვანო ზოდელავა

და უსამძიმრებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

ნინუკი, რუსიკო, ზაურ, ავთო გამსახურდიები ღრმა მწუხარებით, უდიდესი გულისტკივილით იუწყებიან, ღირსეული პიროვნების

ვანო ზოდელავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბუნებრივი აირის ნამწვით ცოლ-ქმარი მოიწამლა

„ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ინფორმაციით, **ოთხშაბათ ღამით თბილისში, ხეთაგუროვის ქუჩა 4 ნომერში, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის ნამწვით (CO) ხანშიშესული ცოლ-ქმარი მოიწამლა. როგორც „ყაზტრანსგაზ თბილისში“ აცხადებენ, ოჯახი აკრძალულ, ღია კამერიან წყლის გამაცხელებელს იყენებდა.** ადგილზე მისულმა კომპანიის სპეციალისტებმა აკრძალული ღია კამერიანი წყალგამაცხელებელი ჩაჭრეს და ბინის მეპატრონეები გააფრთხილეს, არ გამოიყენონ აღნიშნული დანადგარი.

„გაზის სპეციალისტებმა კიდევ ერთ მობინადრესთან აღმოაჩინეს ღია კამერიანი აკრძალული წყალგამაცხელებელი, რომლის საკვამლე მილი დაერთებული იყო კორპუსის სავენტილაციო არხში, რაც სხვა მობინადრეების სიცოცხლეს პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა. მობინადრეს ჩაუტარდა უსაფრთხოების ინსტრუქცია და გააფრთხილეს რომ არ მოიხმაროს აღნიშნული დანადგარი. ამავე კორპუსში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ბინის მეპატრონემ უარი თქვა შემოწმებაზე და კარი არ გაუღეს გაზის სპეციალისტებს. მსგავსი შემთხვევები ხშირია და კომპანიის მუშაობის პრაქტიკიდან გამომდინარე ხშირად სწორედ ის მობინადრეები არღვევენ უსაფრთხოების წესებს რომლებიც უარს ამბობენ მათ ბინებში გაზდანადგარების შემოწმებაზე. აკრძალული გაზის დანადგარების ჩაჭრას კი „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ვერ ახერხებს, რადგან კომპანიის სპეციალისტებს ქსელის შემოწმების მიზნით მობინადრეები სახლში არ უშვებენ“, — აცხადებენ კომპანიაში.

თვითმფრინავის ლიმუზინი

კომპანია Jetsetter-ის სპეციალისტებმა ბიზნეს თვითმფრინავისგან ლიმუზინი შექმნეს. უცხოური მედიის ინფორმაციით, ლიმუზინით გზებზე თავისუფლად გადაადგილება შესაძლებელია.

ლიმუზინის სიგრძე 12.8 მეტრია, სიგანე – 2.4 მეტრი, სიმაღლე კი – 3.5 მეტრი. ავტომობილი 5.5 ტონას იწონის და მას მძღოლის გარდა კიდევ 8 ადამიანის გადაყვანა შეუძლია.

„სენიორ“ პამიდორი

საკვებთან დაკავშირებით ყველა დროში აუარება ჭორი, მითქმა-მოთქმა და ცრურწმენა წარმოიშვებოდა. ზოგიერთ სურსათს დაუმსახურებლად „სამკურნალო“ თვისებების მქონედ აცხადებდნენ, ზოგიც ასევე ტყუილ-უბრალოდ „შხამიანად“ იყო შერაცხილი.

მაგალითად, დღეს-დღეობით საყოველთაოდ ცნობილი პომიდვრის სამშობლოა ამერიკა, ევროპაში კი ის მე-16 საუკუნის შუახანებში მოხვდა, სადაც მას შხამიანადაც კი მიიჩნევდნენ. ეგონათ, რომ სიგიჟის გამოწვევა შეუძლია, ამიტომ მხოლოდ დეკორატიული მიზნით მოჰყავდათ. მეტიც, პომიდორს სახიფათო ნაყოფად თავის სამშობლოში, ამერიკაშიც მიიჩნევდნენ. ევროპაში კი პომიდორი პირველებმა იტალიელებმა დააგემოვნეს – ტომატიანი კერძის რეცეპტი 1692 წელს ნეაპოლში გამოცემულ კულინარიულ წიგნში გამოქვეყნდა.

ხილის „არასახალისო“ წარსული

შუა საუკუნეებში საკვები რამდენიმე ჯგუფად იყო დაყოფილი – ცივი, ტკბილი, მჟავე, თბილი, მარილიანი, ხმელი და ნოტიო სურსათი. ხილი კი მჟავე და ცივ საკვებს მიეკუთვნებოდა.



მაშინ მიჩნეული იყო, რომ სწორედ მჟავე და ცივი სურსათი უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმზე. ამდენად, ხილს მხოლოდ საწებლებად იყენებდნენ, მათი უმეტესი ნაწილი კი ალკოჰოლიანი სასმელების საწარმოებლად გამოიყენებოდა. ზოგიერთს კი მაგალითად, ვაშლსა და მსხალს, მხოლოდ ხორცის გარნირად იყენებდნენ.

ნერვებს მიხედეთ!

სომნოლოგები აცხადებენ, რომ სიზმრებს უფრო ხშირად სუსტი ფსიქიკის მქონე ადამიანები ხედავენ.

მშვიდ და გაწონასწორებულ ადამიანებს ღამე გაცილებით მშვიდად სძინავთ და ძილში არაფერს ხედავენ, ხოლო თუ ხედავენ, მათი სიზმრები არც ხასხასაა, არც ხატოვანი. გარდა ამისა, ნორმალურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი თვეში ერთ-ორ სიზმარს იმახსოვრებს, ხოლო, თუ ეს უფრო ხშირად ხდება, ექიმს უნდა მიმართოთ, ვინაიდან ნერვები აშკარად აშლილი გაქვთ.

სიბრძნის თქმული

- **იმისთვის, რომ საქმე არ გადავდოთ, საჭიროა, სულ არ დავიწყოთ;**
- **მუდმივი ძრავა არ არის, არის მუდმივი პრობლემა;**
- **სუყოველ ტარაკანას (ფურნის ჭიას) თავში თავისი ნათესავები უფუთფუთებენ;**
- **დგება დრო, როცა ამბობენ: თქვენი დრო წავიდა...**
- **ყველა ადამიანი სიზიფეა, ოღონდ ყველას თავისი ლოდი აქვს;**
- **რასაკვირველია, ლამაზად ცხოვრებას ვერავის ვერ დაუშლი, მაგრამ ვერ აიძულებ;**
- **ირონიისთვის ყველა ასაკი სამიზნეა;**
- **შეუძლებელს კი მიაღწია, ოღონდ ახლა არ იცის, რა მოუხერხოს;**
- **ცუდია, როცა სინდისი იმას არ ქენჯნის, ვისაც არ სჭირდება;**
- **ისე კარგად იცინოდა, რომ ყველა მიხვდა, რომ უკანასკნელად იცინოდა;**
- **თუ იცი, ვინ იყავი წინა ცხოვრებაში?**

წინაში კი არა, ახლაც არ ვიცი, ვინა ვარ;
შენ გჯერა, რომ მოჩვენებანი არსებობენ?
როგორ არა, სწორედ იმათ მითხრეს, რომ შენ მაგას შემეკითხებოდი.

ნანა ჯანელიძე ლესია უკრაინკაზე ფილმს გადაიღებს

რეჟისორი ნანა ჯანელიძე ლესია უკრაინკას შესახებ ბიოგრაფიულ ფილმს გადაიღებს. როგორც საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი იტყობინება, ფილმის გადაღებები უახლოეს პერიოდში დაიწყება.

„ფილმის სამუშაო სათაური– „ლესია უკრაინკა. ტყის პირი (უზლისია)“ და იგი პოეტი ქალის ცხოვრების ისტორიის შესახებ გვიყვება. ფილმის კრეატიული პროდიუსერი და იდეის ავტორია იულია სინკევიჩი (JS Films, ოდესის საერთაშორისო კინოფესტივალის გენერალური პროდიუსერი), ხოლო თანაპროდიუსერი – მარია მოსკალენკო (FX FILM Georgia).

ფისო, მოდი ჩვენსა!..

კატებზე ალერგია, რომელიც ყოველ მეორე ბავშვს აქვს და ბოლო დრომდე განუკურნებლად ითვლებოდა, დაძლეულია!

მეცნიერებმა დაამუშავეს კატის ალერგენთა ანალოგები, რომლებსაც მათი ბეწვი, ნერწყვი, ოფლი და ცხოველმოქმედების პროდუქტები შეიცავენ და მათი აქტივობა დააქვეითეს.

ამ ნაერთების ვაქცინაცია დაეხმარება პაციენტებს ნამდვილი ალერგენების, ანტისხეულების გამომუშავებაში.

წარმატებულ ბიზნესმენებო, გონიერო ქველმოქმედნო, მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6487; ევრო - 3.0187;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4325
100 რუბლი - 4.0293; თურქული ლირა - 0.5080;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5620;
1000 სომხური დრამი - 5.4332.

ამინდი 8 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+13
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+14
თბილისი:	ღამე	+5,	დღე	+15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge